# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 მარტი, 2010 წელი.

№52 (6418)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## სააკაშვილი პორნოფილმის გადაღებისთვის დაუსჯიათ...

**ჩვენს პრეზიდენტს თურმე ბავშვობიდან მოსდგამს „ელდიანი“ ფილმების კეთების ნიჭი და ახლა ვინღა გადაარჩევს?!**

2



ბონდო ქურდაძე:



3

## მე დავბრუნდები, რათა სააკაშვილის რეჟიმს ბოლომდე ვებრძოლო!

სოზარ სუბარი:

## „მოდიფიცირებულ ქრონიკას“ ტერაქტის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს

3



## „დაშოკილი“ დიპლომატიური კორპუსი ხსნას ალასანიაში ეძებს...

## ლეიბორისტები თურქულ „სარკს“ აპროტესტებენ

## საარჩევნო სიები სრულყოფილებისგან შორსაა

2



5

## ქვეყნის პირველი მეტრომშენებელი

**ვიქტორ გოცირიძე - 100**

## „თავისუფლების ინსტიტუტი“, როგორც ახალი მსოფლიო რელიგიის „შემქმნელი“ საქართველოში

4

## ოლთაკე – კოლხეთის „მეფე“

6



ბრიფინგი

# სააკაშვილი პორნოფილმის გადაღებისთვის დაუსჯიათ...

## ჩვენს პრეზიდენტს თურმე ბავშვობიდან მოსდგამს „ელდიანი“ ფილმების კეთების ნიჭი და ახლა ვინღა გადაარჩევს?!

**მიხეილ სააკაშვილი მკაცრად დაისაჯა იმის გამო, რომ მოსწავლეობისას პორნოფილმის გადაღება გადაწყვიტა, რისთვისაც კომკავშირიდან გარიცხეს. მისი კარიერის გაკეთებაში დიდი გავლენა ბიძამ – თემურ ალასანიამ იქონია. თუმცა, საკმაოდ ბევრი ვინმეს შეწუხება გახდა საჭირო იმისთვის, რომ დასჯილი ბიჭი კომკავშირში დაებრუნებინათ... მერე კი ყველაფერი უშიშროების სამსახურიდან დაიწყო.**

**გაინტერესებთ დეტალები? – ამის შესახებ ფილმის ხილვა შეგიძლიათ ვებ-გვერდზე www.tetrebi.org.**

ფილმის შექმნის ინიციატივა თემურ შაშიაშვილს ეკუთვნის, რომელსაც უკრაინელი მეგობრები დაეხმარნენ და დოკუმენტური მასალის გამოყენებით ვიდეოს გაკეთება შესთავაზეს. ფილმი მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში გატარებულ წლებს შეეხება. მართალია, პრეზიდენტი ოფიციალური ბიოგრაფიის მიხედვით მხოლოდ სამი წელი იყო კიევში, თუმცა რეალურად იქ რვა წელიწადს უცხოვრია. როგორ ცხოვრობდა სააკაშვილი უკრაინაში, სად სწავლობდა, რას საქმიანობდა, ვისთან რა კონტაქტები ჰქონდა, ვისზე რა წამოსცდენია, დაუწერია, უთქვამს, რა აკავშირებს მას ექს-პრეზიდენტ იუშჩენკოსთან? იმ წლების ამ და სხვა სკანდალური დეტალების გამომზეურებისთვის უკრაინაში მოღვაწე ქართველებმა იზრუნეს. დოკუმენტები, ქრონიკები, ექსპერტთა აზრი, სააკაშვილთან დაახლოებული პირების კომენტარები – ეს ყველაფერი თავმოყრილია ფილმში, რომელსაც პირობითი სახელი „Misha“ ჰქვია.

თემურ შაშიაშვილმა ბრიფინგზე ამ მასალის მცირე დეტალები წარმოადგინა, თუმცა მან არ დაასახელა არც სცენარისტი და არც რეჟისორი, ფილმზე მუშაობა სამი თვის წინათ დაიწყო და დღესაც გრძელდება.

შაშიაშვილი ამბობს, რომ პრეზიდენტ იუშჩენკოს მმართველობის ხანაში წარმოუდგენელი იყო იმ პირადი საქმის გახსნა, რომელიც კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში ინახება და რომელშიც სააკაშვილის მაკომპრომეტირებელი უამრავი მასალა ინახება.

**„საქართველოში ვინც ყველაზე მეტად სხვას სდებს ბრალს ქვეყნის ღალატში, ვინც ყველაზე ბევრს ლაპარაკობს სხვის კგბ-ს აგენტობაზე, როგორც ჩანს, სწორედ ამ სტრუქტურიდან იწყებს მოღვაწეობას. იქნებ თვითონ არის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი და დღესაც რეზიდენტი?“** – ამბობს „თეთრების“ ლიდერი. მისი სურვილია, რაც შეიძლება მეტმა საქართველოს მოქალაქემ ნახოს ეს ვიდეოფილმი. და არა მარტო მათ. ფილმი სასურველია ნახონ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა და ხელისუფლებამ... ეს არის დოკუმენტური მასალა ანალიზის, დაფიქრებისა და დასკვნისთვის, – აღნიშნავს შაშიაშვილი.

**თეა მოსია**

შეხვედრა

# „დაშოკილი“ დიპლომატიური კორპუსი ხსნას ალასანიაში ეძებს...

**13 მარტი რისხვად დაატყდათ ელჩებსაც: მოდელირებულმა „ქრონიკამ“ საქართველოში აკრედიტებული ელჩები აღაშფოთა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბაასმა კი 13 მარტის სიუჟეტს უპასუხისმგებლო, საფრთხის შემცველი და ჟურნალისტური სტანდარტებისგან ძალზე დაშორებული**



**უწოდა... წარმოიდგინეთ, საფრანგეთის ელჩის ერიკ ფურნიეს გაოცებული სახე, როდესაც აღმოაჩინა, რომ მისი გამოსახულება ამ რეპორტაჟისგან სრულიად სხვა კონტექსტში გამოიყენეს: „სინანულს გამოვთქვამთ ამ სიუჟეტის გამო, რომელიც ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ქმედებებსა და „ქვეყნის უსაფრთხოების მუქარას“ შორის უხეში მონტაჟითაა გაკეთებული“... დასძინა ელჩმა.**

ფურნიეს პროტესტი დიდი ბრიტანეთის ელჩმა დენის კიფმაც გაიზიარა: „იმედის“ ტელევიზიის მიერ გამოყენებული სიუჟეტი ჩემ მიმართ, როგორც ბრიტანეთის ელჩის მიმართ საქართველოში, უპატივცემულობაა. ეს ცუდად აისახება მედიის თვალსაზრისით საქართველოს რეპუტაციაზე“...

13 მარტის მწარე გაკვეთილის შემდეგ დიპლომატიური კორპუსი საფიქრალს მიეცა, რომ, მართლაც, შემაშფოთებელია ქართული მედიასაშუალებების პროფესიული დონე და აუცილებელია დემოკრატიული პლურალიზმის ხელშეწყობა, გაძლიერება, მით უფრო, რომ 30 მაისის არჩევნები კარზეა მომდგარი.

ამ თემაზე ელჩებმა გუშინაც იმსჯელეს „შერატონ მეტეხი პალასში“ „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერთან ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის დროს. ოპოზიციის მთავარი საზრუნავი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე დაკარგული იმიჯის აღდგენაა, რაც მედიამონიტორინგითაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი, – აღნიშნა ალასანიამ. ამ თვალსაზრისით ევროკავშირი და სხვა ჩვენი პარტნიორები დამატებით რესურსებს გამოყოფენ.

ბუნებრივია, ურიგო სულაც არ არის დიპლომატიურ კორპუსთან ამ თემაზე მსჯელობა, მაგრამ არა მგონია, დამატებითი რესურსების გამოყოფამ არსებითი შედეგი გამოიღოს და მიშამ ტელევიზიები ცენზურისგან გაათავისუფლოს.

13 მარტის რეპორტაჟით შოკირებული დიპლომატიური კორპუსი „გზას ხსნისას“ ეძებს, მაგრამ ეს უფრო საკუთარი თავის მოტყუება იქნებოდა... რადგან საკუთარი სკამების შენარჩუნებისა და ძალაუფლების გადანაწილებისთვის გამიზნული ხელისუფლების თავგასული თამაშები საეჭვოა, ჯერჯერობით ვინმემ შეაჩეროს...

**ნატა ნიბლაძე**

დასკვნა

# საარჩევნო სიები სრულყოფილებისგან შორსაა

**არჩევნების ჩატარების მრავალწლიანი გამოცდილება ცხადყოფს, რომ არსებობს ხალხის ნების გაყალბების მეთოდები, რომლებსაც ვერც დრო და ვერც ხელისუფლება, მით უმეტეს ოპოზიცია, ვერაფერს უხერხებს. მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილი კარუსელები, მკვდარი სულები საარჩევნო სიებში. არის კომიკური და კარგად მოფიქრებული მცდელობები არჩევნების შედეგების, თუნდაც ყველასათვის მიუღებლის, დაკანონებისა, თან ისე, რომ წყალი არ გაუვიდეს.** ამისთვის ყველაზე კარგი საშუალება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადებული დასკვნებია, რომელთა უმეტესობა ყოველთვის დემოკრატიულად და თავისუფალ გარემოში ჩატარებულად აღიარებს არჩევნებს.

არავინ იცის, რა ახალი ხერხები გამოჩნდება 30 მაისის არჩევნების გასაყალბებლად. ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ სხვანაირად ხელისუფლება ვერ გაიმარჯვებს. იმის მიუხედავად, რომ არც სადამკვირვებლო მისიებს ენდობიან დიდად, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ჟოაო სუარესს მაინც შეხვდნენ და თავიანთი პრეტენზიები გამოთქვეს.

რადგან უკვე საბოლოოდ ცნობილია ადგილობრივი თვითმმართველობის ჩატარების თარიღი, დავით ბაქრაძემ მოუწოდა პოლიტიკურ სუბიექტებს, გულდასმით მოახდინონ საარჩევნო სიების მონიტორინგი და შედეგები გადასცენ საარჩევნო კომისიას ხარვეზების დროულად აღმოსაფხვრელად და შემდგომი პრეტენზიების თავიდან ასაცილებლად. თუმცა ამაზე მუშაობა, მაგალითად, რესპუბლიკელებმა და ალიანსში მყოფმა დანარჩენმა პარტიებმა სიების გამოქვეყნებისთანავე დაიწყეს და საკმაო რაოდენობისა და სიმძიმის ცდომილებებიც აღმოაჩინეს. სერიოზული დარღვევები წარმოადგინა „ქართულმა დასმაც“. კერძოდ, იგულისხმებოდა უმისამართო ამომრჩეველი, რომელთაც მოგვიანებით ცესკომ არჩევნებში მონაწილეობა შეუზღუდა.

ცესკოში „ქართული დასის“ წარმომადგენელმა გიორგი ბაშარულმა განაცხადა, რომ პარტია მომავალშიც აუცილებლად გააგრძელებს საარჩევნო სიების მონიტორინგს და, საერთოდ, წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვებას. მანამდე კი, მან კიდევ ერთი „კარდაკარის“ პრინციპით ჩატარებული დაკვირვების შედეგები წარმოადგინა, რომელსაც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ხარატიშვილს გააცნობს.

**გიორგი ბაშარული, „ქართული დასის“ წარმომადგენელი ცესკოში:**

– თბილისის ოთხ უბანზე – მთაწმინდა, სამგორი, ნაძალადევი, გლდანი – საარჩევნო სიებში აღმოჩენილია 16 072 ცდომილება. აქედან უმისამართო ამოარ-






ჩეველია 15 292, სიაში მოცემულ მისამართზე არ ცხოვრობს 657, ხოლო გარდაცვლილია 31. კონკრეტულად კი, მთაწმინდის რაიონში უმისამართო ამომრჩეველთა რაოდენობა 1792 ადამიანია, სამგორში – 3 721, ნაძალადევი – 5 084, ხოლო გლდანში – 4 695. სიებში მოცემულ მისამართებზე არ ცხოვრობს: მთაწმინდა – 170, სამგორი – 219, ნაძალადევი – 189, გლდანი – 79. გარდაცვლილია: მთაწმინდა – 15, სამგორი – 10, ნაძალადევი – 5, გლდანი – 1. ამასთან, გურამიშვილის გამზირის №39 კორპუსში ბინები: №40, 42, 56, 60, 62 არ არსებობენ, №84 კორპუსში მითითებული ამომრჩევლიდან მხოლოდ 4 კაცი ცხოვრობს. გლდანის „ა“ მკრ. №69 კორპუსის საარჩევნო სიაში არსებული 202 ამომრჩევლიდან 79 ამომრჩეველი არ ცხოვრობს ამ კორპუსში. საბოლოო ჯამში სიის ხარვეზი 40 პროცენტს შეადგენს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უახლოეს ხანში ალბათ, სხვა პარტიების ჩატარებული მონიტორინგის შედეგებიც შევა. გამოსწორდება თუ არა საარჩევნო სიებში ნაპოვნი ხარვეზები არჩევნებამდე, ოპოზიციის მონდომების გარდა, ხელისუფლების კეთილ ნებაზედაცაა დამოკიდებული. თუმცა თუ იქნება უტყუარი ფაქტები, იმედია, მათით არ იმანიპულირებენ.

**ანა წიწილაშვილი**

აქცია

# ლეიბორისტები თურქულ „ხარკს“ აპროტესტებენ

**საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთი საფიქრალი გაუჩინეს, რომელიც მათთვის ტრანზიტული გადასახადების დაწესებას ეხება. ამასთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნესტან კირთაძემ გუშინ საქართველოში თურქეთის საელჩოსთან საპროტესტო აქცია-ბრიფინგი გამართა.**

ლეიბორისტულმა პარტიამ ის უმძიმესი სოციალური შედეგები გააპროტესტა, რომელიც საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორის – თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილებას მოჰყვა. საქართველოს მოქალაქეებისთვის ტრანზიტული გადასახადების დაწესება პირველი მაისიდან გახდება სავალდებულო და 600-1200 ევროს ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ ლეიბორისტულმა მოძრაობამ პარტნიორი ქვეყნის გადაწყვეტილების სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებზე კი არ გაამახვილა ყურადღება, არამედ, პირველ რიგში, ისინი იცავენ მოქალაქეებს. მათი აზრით, მცირე გადამზიდავებისთვის თურქეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება უდიდესი დარტყმა იქნება. მეწარმეები და იმპორტიორები შეაჩერებენ თავიანთ ბიზნეს-საქმიანობას, ხოლო ნაწილი იძულებული იქნება, იმპორტირებულ პროდუქტებზე გაზარდონ ფასები, რაც ქვეყნის ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობაზე უარყოფითად იმოქმედებს.

**„ქვეყანაში, სადაც თურქეთის გავლით მხოლოდ ავტომანქანები არ ხვდება, და ამ გზით დიდი რაოდენობით შემოდის სასურსათო და სამრეწველო პროდუქცია, მათ შორის საყოფაცხოვრებო საქონელი, სამშენებლო მასალები და სხვა, თურქეთის მიერ ტრანზიტული გადასახადების დაწესება უკიდურესად გააძვირებს იმპორტირებულ პროდუქციას“,** – განაცხადა ნესტან კირთაძემ.




სწორედ თურქეთის საელჩოსთან გამართულ აქცია-ბრიფინგით მიმართეს ლეიბორისტებმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, თავისი რეგლამენტის ფარგლებში გადახედოს ორგანიზაციის წევრი ქვეყნის – თურქეთის




მთავრობის ზემოაღნიშნულ რეგულაციას. საქართველო და თურქეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან.

მაშინ, როდესაც საქართველოსა და თურქეთს შორის დადებულია ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, თურქეთის პროდუქციისთვის მთლიანადაა გახსნილი ქართული ბაზარი, ხოლო თურქი ბიზნესმენები ჩვენს ქვეყანაში ყველაზე წარმატებულად ახორციელებენ თავის საქმიანობას, დაწესებული თურქული ხარკი არც პარტნიორობის დასტურია და არც მეგობრობისა.

ლეიბორისტული პარტია ფიქრობს, რომ ყველაზე მთავარი იმ მოსახლეობის დაცვაა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების უპასუხისმგებლო ეკონომიკური პოლიტიკის გამო მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. თურქეთის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება უმძიმესი დარტყმაა საქართველოს მოსახლეობისთვის.

**ხატია მუსერიძე**

◎ ოპოზიცია

# „მოდიფიცირებულ ქრონიკას" ტერაქტის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს



## სუბარი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს

**საინტერესოა, როგორ გაუცვლიან აზრებს ერთმანეთს ინგა გრიგოლია და გია ჭანტურია 7 ნოემბერთან დაკავშირებით? — ოპონენტების მისამართით სოზარ სუბარმა ეს კითხვა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე „პრაიმ-ტაიმის" სტუდიაში რიტორიკულად დასვა. მთავარია, რომ ის ამ ტანდემში ურთიერთგაგებას გამორიცხავს, რადგან გია ჭანტურია, ერთობ გაწონასწორებული მერობის კანდიდატი, ამბობს, რომ მას 2007 წლის 7 ნოემბერზე არაფერი სმენია, ხოლო ამ დღეს როგორ ასროლინეს კუდით ქვა ინგა გრიგოლიას, ყველას კარგად ახსოვს.**

ალიანსი „საქართველოსთვის" არჩევნებისთვის ემზადება, ხელისუფლების შეცვლის სხვა ალტერნატივას ისინი ვერ ხედავენ. სუბარი ირაკლი ალასანიაზე სერიოზულად იყო ნაწყენი, გულნატკენიც კი, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორედ ისე გამოვიდა. აფორიაქებული და გზასაცდენილი ირაკლი ძველ რელსებს დაუბრუნდა და აღიარა, რომ ალიანსის დაშლის სანაცვლოდ არანაირი ერთობა არ ღირს.

ამჯერად ალიანსის კარი ღია რჩება, თუმცა იქ სრული სიმშვიდე სუფევს და არც ფარული და არც ღია კონსულტაცია არცერთ პარტიასთან თუ ცალკე ინდივიდთან არ მიმდინარეობს. სუბარმა კატეგორიულად უარყო ის ფაქტი, რომ თითქოს ლევან გაჩეჩილაძე აშანტაჟებს ირაკლი ალასანიას, თითქოს თუ ის სხვა პარტიებთან არ გაერთიანდება, მაშინ გაჩეჩილაძე კანდიდატურას წამოაყენებს და „მეგობრები" სერიოზული კონკურენტები გახდებიან. მსგავსი არაფერი ხდება, — ამბობს ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

იმის მიუხედავად, რომ რეიტინგების მიხედვით გიგი უგულავასთან მხოლოდ მეორე ადგილს იყოფს ირაკლი ალასანია, ალიანსელები აცხადებენ, რომ ბრძოლას აზრი აქვს. **„ჩვენ მივდივართ არჩევნებზე და ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ არჩევნების მოსაგებად. ერთადერთი ჩვენი მოწინააღმდეგე არის ხელისუფლება. მართალია, ხელისუფლებას ყველანაირი რესურსი აქვს არჩევნების გასაყალბებლად, მაგრამ თუ მოსახლეობის აქტიურობა მაღალი იქნება, შედეგს ვერ მიაღწევს",** — აცხადებს სუბარი.

ბუნებრივია, ყოფილი ომბუდსმენი 13 მარტს „იმედის" ეთერში გასულ მოდიფიცირებულ სიუჟეტსაც გამოეხმაურა და, უპირველესად, სწორედ ცნება „მოდელირება" გააპროტესტა. **„რას ნიშნავს მოდიფიცირება? ეს არის, როცა ამა თუ იმ პიროვნებას სხვა ასახიერებს. აქ კი იყო გაყალბებული კადრები თავისებური ინტერპრეტაციით. როცა უჩვენებ ელჩებს, პრეზიდენტებს და ალაპარაკებ იმაზე, რაც არ უთქვამთ, ეს არის პროვოკაცია. ამიტომაც უწოდეს ამ რეპორტაჟს სახიფათო საერთაშორისო არენაზე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შედგომი ესკალაცია".**

სუბარის თქმით, ერთი ნაბიჯიღა დააკლდა ომის გაღვივებას. მას ეჭვიც არ ეპარება, რომ ეს სცენარი სააკაშვილმა დადგა, რადგან სწორედ ასე გეგმავს და სურს პრეზიდენტს მოვლენების განვითარება. **„ვინმეს ეჭვი ეპარება ამის შემდეგ, რომ პრეზიდენტი არაადეკვატურია? ამ ფაქტზე ნორმალურ ქვეყანაში მაშინათვე უნდა აღეძრა საქმე პროკურატურას და მიეცა ტერაქტის კვალიფიკაცია, რომელიც 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ეს იყო ტერორი, რომელიც ხელისუფლებამ საკუთარ მოსახლეობას მოუწყო, ამიტომაც პასუხი უნდა აგოს".**

არავისთვის არის უცხო ალიანსის წევრთა მსგავსი პოლიტიკური განცხადებები. ამიტომაც აპროტესტებენ ისინი იმ მოსაზრებას, რომ თბილისის მერი პოლიტიკური ფიგურა არ უნდა იყოს. **„იმიტომაც აქვს მხოლოდ პოლიტიკურ პარტიას მერის წარდგენის უფლება, რომ ეს პოსტი გულისხმობს პოლიტიკის შუაგულში ტრიალს. 13 მარტსაც დამტკიცდა, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, უნდა დამთავრდეს ქვეყანაში სიგიჟე და ასანთი წავართვათ სააკაშვილს, რომელიც ნავთით გაჟღენთილ ოთახში იმყოფება".**

ბუნებრივია ვიბრძოლებთ თვითმმართველობის გაძლიერებისთვის, მაგრამ ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ვიზრუნებთ რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მისაღწევად, — იქადნება სუბარი.

**თეა მოსია**

◎ მიმართვა

*ცნობილმა ჟურნალისტმა, პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი გაზეთის „შანსის" დამფუძნებელმა და რედაქტორმა ბონდო ქურდაძემ მეუღლესთან და სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად საზღვარგარეთს შეაფარა თავი. გადაწყვეტილება — ხელისუფალთა მხრიდან ზეწოლის, ტერორისა და დაშინების შემდეგ გასცლოდა სამშობლოს — სისრულეში მოიყვანა.*



*რამ მიიყვანა ჟურნალისტი ასეთ გადაწყვეტილებამდე, როგორი იყო „შანსის" გზა დღემდე? ყოველივე ამაზე თავად ბატონ ბონდო ქურდაძის წერილიდან შეიტყობთ, რომელიც მან კიევიდან ინტერნეტით გაავრცელა.*

# მე დავბრუნდები, რათა სააკაშვილის რეჟიმს ბოლომდე ვებრძოლო!

## უკრაინის პრეზიდენტს ბატონ ვიქტორ იანუკოვიჩს, დასავლეთის ქვეყნების ხალხებს!

მე, საქართველოში პირველი დამოუკიდებელი გაზეთის „შანსის" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი (გაზეთი გამოდის 1989 წლიდანძ, იძულებული ვარ, დავტოვო სამშობლო ოჯახთან –ცოლსა და 3 შვილთან ერთად, რათა უცხოეთში ვეძებო თავშესაფარი.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაზეთი „შანსი" საქართველოში ბეჭდვითი სიტყვის ლიდერი გახდა, იგი გამოდიოდა დიდი ტირაჟით. ჩვენ შევძელით დაგვეწყო სხვა ბიზნესიც (კახეთში ყურძნისა და ღვინის წარმოებაძ, რის წყალობითაც შევძელით გაგვეძლიერებინა და გაგვეფართოებინა გაზეთის ტექნიკური ბაზა. ვეწეოდით ქველმოქმედებასაც. აფხაზეთში ომის დროს რედაქციის ყველა თანამშრომელი წავიდა ფრონტზე და იქ დაბომბვის ქვეშ ვუშვებდით გაზეთს „შანსი ფრონტის ხაზზე". საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კოლექტივი დააჯილდოვა, მათ შორის მეც, ღირსების ორდენით. მაგრამ ჩვენ უარი ვთქვით ჯილდოზე (ვინაიდან არ გვინდოდა მიგვეღო ჯილდო იმ პრეზიდენტის ხელიდან, რომელმაც წააგო ომი და დაკარგა ტერიტორიებიძ. ამ და სხვა მიზეზების გამოც ქვეყანაში გაჩაღდა „ანტიშანსური" კამპანია. შევარდნაძესთან დაახლოებულმა ბიზნესმენებმა დაგვიწყეს დევნა და ჩამოგვართვეს ღვინის ბიზნესი.

თანდათანობით ჩვენი საქმე უკანუკან წავიდა. ჩვენ დევნილები აღმოვჩნდით. ჩამოგვართვეს ყველაფერი და არა მხოლოდ ჩვენ. გაზეთების, ჟურნალებისა და ტელეკომპანიების რედაქციები გამოგვყარეს გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან. ეს მოხდა 2007 წლის 10 აგვისტოს, ესე იგი მაშინ, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი უკვე სააკაშვილი იყო. აღსანიშნავია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში (თავის პრეზიდენტობამდეძ სააკაშვილი გაზეთ „შანსის" რედაქტორი იყო, ესე იგი აკონტროლებდა მის გამოშვებას და სხვათა შორის, წარმატებითაც. და იცით ვინ გამოგვყარა ხელკეტებით ჩვენი შენობიდან? იგივე გადაცმულმა პოლიციელებმა, რომლებიც მრავალი წლის შემდეგ მივლინებით გაიგზავნენ უკრაინაში არჩევნებზე მეთვალყურეთა სახით. ჩვენს პოლიციურ სახელმწიფოში ამ ეგრეთ წოდებულმა მეთვალყურეებმა ბევრი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაღვარეს.

პროტესტის ნიშნად გავაგრძელე გაზეთის გამოშვება პირდაპირ ქუჩაში, პარლამენტის შენობის წინ. გაზეთი გამოდიოდა მოქალაქეთა შემოწირულობებით.

ეს, რასაკვირველია ძალიან აღიზიანებდა ხელისუფლებას. შუაღამისას იმპროვიზირებული „საკანი", რომელშიც იყო ჩვენი რედაქცია, გაანადგურეს. ამას მოჰყვა წერილობითი და სატელეფონო დაშინებანი ჩემი ოჯახის მისამართით.

დაშინების მეორე ტალღა აგორდა ჩვენი გაზეთის მუშაობის განახლების შემდეგ, როდესაც მან მოიპოვა ექსკლუზიური უფლება შიო არსენიშვილის პროექტის რეალიზაციის გაშუქებაზე, რომლის ფარგლებშიც შეგროვდა ხელისუფლების ბოროტმოქმედებათა მრავალრიცხოვანი ფაქტი.

გაზეთმა „შანსმა" მიიღო აგრეთვე ექსკლუზიური უფლება აუდიოკასეტის გაშიფვრისა და ჩანაწერის გამოქვეყნებაზე, რაც შეეხებოდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ვითარებას.

ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის არ არის მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებელი დამოუკიდებელი ტელეარხები და სასამართლო, ციხეებშია ათასობით უდანაშაულო ადამიანი, თითოეული ბიზნესმენი განიცდის სახელმწიფო რეკეტს, ყოველ ნაბიჯზე ირღვევა ადამიანის უფლებები, ხალხი იღუპება შიმშილით. აქ პოლიციელების ხელფასი 7-ჯერ მეტია, ვიდრე მასწავლებლებისა, სახელმწიფო ჩინოვნიკები ღებულობენ ხელფასს, რომელიც 20-ჯერ აღემატება საარსებო მინიმუმს, განადგურებულია განათლებისა და მედიცინის ინფრასტრუქტურა. ჩვენს ქვეყანას მართავს პრეზიდენტი, რომელსაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ოფიციალურად აღარ იწვევს არც ერთი ქვეყანა. ხოლო მისი განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო გახდა მოწინავე ევროპული ქვეყანა, აღარავის სჯერა.

პრეზიდენტ სააკაშვილის სიგიჟის მორიგი გამოვლინება გახლდათ გადაცემა, რომელიც ტელეკომპანია „იმედის" ეთერში გადაიცა 13 მარტს, რის შესახებაც მთელმა მსოფლიომ უკვე იცის.

ვუბრუნდები საკითხს ჩემი ოჯახის შესახებ. ჩვენ გვაქვს შენგენის ვიზები, მაგრამ გადავწყვიტეთ, გაგვემეორებინა ჩვენი დიდი წინაპრის დავით გურამიშვილის გზა, ჩამოვსულიყავით უკრაინაში, უკვე აეროპორტში ვიგრძენით ის სითბო, გულითადი დამოკიდებულება, რაც ყოველთვის ახასიათებდა უკრაინელ ხალხს.

თხოვნით მივმართავ უკრაინის პრეზიდენტს ბატონ ვიქტორ იანუკოვიჩს, დასავლეთის ქვეყნების ხალხებს — აღმოუჩინეთ მფარველობა ჩემს შვილებსა და მეუღლეს, დაეხმარეთ მათ ნორმალური უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველყოფაში სამშობლოს გარეთ. მე კი თავად სიცოცხლის რისკით ვბრუნდები თბილისში და როგორც ჟურნალისტი და რედაქტორი ვიბრძოლებ მანამ, სანამ არ დამთავრდება სააკაშვილისა და მისი დამქაშების დიქტატორული რეჟიმი.

მაქვს უკრაინელი და დასავლელი კოლეგების მხარდაჭერის იმედი, რომ ჩემს მოწოდებას მიიტანენ თავიანთი ქვეყნების ტელემაყურებლებამდე და მკითხველებამდე.

წინასწარ ვუხდი მადლობას ყველას მხარდაჭერისა და სოლიდარობისთვის.

**ბონდო ქურდაძე,**
გაზეთ „შანსის" მთავარი რედაქტორი,
საქართველოს მოქალაქე

◎ მხარე

## სემინარი კონფლიქტის მოგვარების პრობლემებზე

**სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა სემინარი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ. სემინარს ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს და ინტელიგენციის წარმომადგენლები.**

სემინარის ჩატარების ორგანიზატორია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის ქუთაისში არსებული ქალთა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი" (თავმჯდომარე ა. გამახარიაძ.

სემინარის მუშაობას უძღვებოდნენ ფონდ „სოხუმის" წარმომადგენლები: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რანი ჭაბუკიანი და ექსპერტი გულნარა ლაკირბაია.

პროექტის მიზანია, ქართული საზოგადოებისთვის კვლევის შედეგების გაცნობა, საზოგადოებრივი დისკუსიების სტიმულირება, აღნიშნული საკითხებისადმი საზოგადოების ფართო მასების დამოკიდებულების დაფიქსირება, დასაბუთებული ორმხრივი კომპრომისების გზების ძიება...

**იოსებ გობეჩია,**
სენაკი.

## „კოხორას" - ერთი წლით პირობითი სასჯელი

**გალის რაიონის სოფელ კოხორის მკვიდრი თემურ ჯახაია დაახლოებით 1 წლის წინათ ზუგდიდის ერთ-ერთ მაღაზიაში შევიდა ლუდის საყიდლად, მაგრამ თანხა არ ეყო. თანაც, მაღაზიის გამყიდველს საფულე გამოსტაცა, მოახტა ველოსიპედს და გაიქცა, მაგრამ... ვერ გაექცა პატრულს.** რა იცოდა მაშინ თემურ ჯახაიამ, რომ მისი ეს მოქმედება მას საყოველთაო აღიარებას მოუპოვებდა. პატრულმა მას ჩვენება ჩამოართვა და გაავრცელა ინტერნეტით. ალბათ, მთელმა საქართველომ ნახა ინტერნეტით თემურ ჯახაიას აღიარებითი ჩვენება. თემურ ჯახაია, ანუ „კოხორა" ძალიან პოპულარული გახდა. ის მრავალ სატელევიზიო გადაცემის მონაწილე გახდა. თურმე „სიმართლის დროშიც" მიუწვევიათ, მაგრამ შეგნებულად არ დათანხმებულა. მიუხედავად ასეთი პოპულარობისა, მის მიმართ მაინც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე... თუმცაღა, ისევ პოპულარობამ უშველა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მას მხოლოდ ერთი წლის ვადით პირობითი სასჯელი მიუსაჯა.



## ვისია იარაღი?

**ზუგდიდელმა სამართალდამცველებმა იარაღის შეძენა-შენახვის ბრალდებით 66 პიროვნება დააკავეს.** ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც ყოველგვარი წესების დაცვით, ყველა საბუთის წარდგენით ზუგდიდის სპეციალურ მაღაზიაში შეიძინეს იარაღები, ოღონდ არა ტარების, არამედ შეძენა-შენახვის უფლებით. რატომღაც, პოლიციამ გადაწყვიტა შეემოწმებინა ყველა ის პიროვნება, ვისაც იარაღი ჰქონდა შეძენილი. მათ აინტერესებდათ აღმოაჩნდებოდათ თუ არა მათ იარაღი სახლში. მაგრამ, ამ 66 ადამიანს იარაღი არ აღმოაჩნდათ, არადა სხვისთვის გადაცემის უფლება არ ჰქონდათ! პოლიციას ეჭვი აქვს, რომ იარაღები გაყიდულია, ან, უბრალოდ, საეჭვო პირებს სხვისი საბუთებით აქვთ შესყიდული. თუ ეს დადასტურდა, ყველას 5-დან 8 წლამდე პატიმრობა ელის!

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი.

№ 52. შაბათი, 20 მარტი, 2010 წელი.

◎ ფრთხილად, ქართველნო!

***პედერასტია** (ბერძნ. ბიჭების სიყვარული) — სქესობრივი გარყვნილება — სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცებს შორის: მამათმავლობა — ასე განმარტავს ამ სიტყვას უცხო სიტყვათა ლექსიკონი.*

*ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ამა წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულმა ბატონ არმაზ სანებლიძის მასალამ — „გზა მიეცით ჰომოსექსუალებს! როგორ იქმნება მსოფლიო რელიგია“.*

*და, ყოველივე ის, რაზეც არმაზ სანებლიძემ გლობალურ მასშტაბში ისაუბრა, მსურს, რომ ქართულ სინამდვილეში გადმოვიტანო.*

# „თავისუფლების ინსტიტუტი“, როგორც ახალი მსოფლიო რელიგიის „შემქმნელი“ საქართველოში

**ყველა ლიბერალი პედერასტი არ არის, მაგრამ ყველა პედერასტი ლიბერალია**



ნურვის გაუკვირდება და, მით უმეტეს, ნურვინ ჩამითვლის ხმამაღლა ნათქვამად წერილის ამ ქვესათაურს. თუ შევთანხმდებით, რომ გლობალიზაციის მთავარი და საბოლოო მიზანი ახალი მსოფლიო წესრიგის, ანუ მსოფლიო ხელისუფლების, მთავრობის შექმნაა, მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ გლობალიზაციის მამების დღის წესრიგში ახალი მსოფლიო რელიგიის შექმნაც იდგეს, რადგანაც ათადან და ბაბადან ასე ყოფილა — ვერვის და ვერაფერს მართავ, პატარა სახელმწიფო იქნება თუ დიდი იმპერია, რაიმე რელიგიის, თუნდაც ფსევდორელიგიის გარეშე.

მით უმეტეს, მსოფლიოს მართვა იქნება შეუძლებელი, თუ მასში შემავალ სახელმწიფოებსა და ერებს, რაღაც ერთი, იდეოლოგიური საფუძველი, იგივე რელიგია არ აერთიანებთ. რომელია ამ შემთხვევაში პირველადი თუ მეორადი, ანუ, ჯერ ახალი მსოფლიო ხელისუფლება უნდა შეიქმნას, თუ ახალი რელიგია, არ ვიცი. ალბათ ეს პროცესები პარალელურად მიდის.

ბევრს სმენია და ალბათ ნაფიქრალიც ექნება ე.წ. მასონთა ლოჟასა თუ იგივე სამასთა კომიტეტზე, რომლებიც, ერთი შეხედვით, არსად ჩანან. ანუ კონკრეტული მისამართი არა აქვთ, მაგრამ პრაქტიკულად ისინი მართავენ მსოფლიოს მეოცე საუკუნის დასაწყისიდან თუ უფრო ადრინდლიდან არა. ბევრს სჯერა ამისი და ბევრსაც ე.წ. შეთქმულების თეორიათა მოყვარულების შეთხზული ზღაპრები ჰგონია ეს ყველაფერი, მაგრამ ერთი რამ უეჭველი მგონია — თუ გადავხედავთ თუნდაც მეოცე საუკუნეში სახელმწიფოებში მომხდარ კატაკლიზმებს, არა მგონია ისინი ზესახელმწიფო ძალების ჩარევის ან ჩაურევლობის, მხოლოდ ამა თუ იმ მოღვაწეთა უნიათობის ან ნიჭიერების გამო მომხდარიყოს.

მაგალითებად რუსეთის იმპერიაში თებერვლის რევოლუცია, ბოლშევიკური გადატრიალება და შემდეგ სსრკ იმპერიის კრახიც კმარა, რაც, სწორედაც რომ, მასონთა ფინანსებით მოხდა და მათი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფიზიკურად არსებული იმპერიების ადგილი ვირტუალურმა გლობალისტებმა დაიკავეს, რომელთა იარაღი უწინარესად ტანკები და ბირთვული ქობინები კი არა (თუმცა არც ეს აკლიათძ, ამოუწურავ ფინანსებზე დამყარებული ეკონომიკურ-კულტურული ექსპანსიაა, რაც დღემდე გრძელდება.

**აი, ეს არის ის, რასაც მსოფლიო ხელისუფლება ჰქვია. ოღონდ ვირტუალურად და მის ლეგიტიმაციას, გნებავთ, მატერიალიზაციას სჭირდება მსოფლიო რელიგია, რაც ჯერ კიდევ შესაქმნელია.**

ეს პროცესი ყველგან, მთელს მსოფლიოში მიდის მეტ-ნაკლები წარმატებით. აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში ეს ამბავი პრაქტიკულად დასრულებულია და გლობალისტ — მასონთა ძალისხმევა ლათინური ამერიკის, აზიის, აღმოსავლეთ ევროპისკენ არის მიმართული, რომლის ერთი, არც თუ უმნიშვნელო, სექტორი კავკასია, მთავარი ღერძი კი, საქართველოა!

ე.წ. მსოფლიო რელიგიას ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს აღარც ისლამი იქნება, აღარც კათოლიკები, იუდეველები თუ მართლმადიდებელი ქრისტიანები იქნებიან და მსოფლიო რელიგია რაიმე ერთი სახელის, დეფინიციის ქვეშ მოექცევა. არა, ფორმალურად ყველა იქნება, მაგრამ ბიბლიაზე აღმოცენებულ რელიგიებში ყველა მნიშვნელოვანი დოგმატი უარყოფილ-მოდერნიზებული აღმოჩნდება და აქედან ყველა, დღემდე არსებულ რელიგიას ერთი საერთო — უწმინდურობის, მამათმავლობის, სისხლის აღრევის მხოლოდ ამქვეყნიურობის საფუძველი ექნება (ციტატა ბატ. არმაზ სანებლიძის პუბლიკაციიდან — **„სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ სწორედ სექტებისა და გადაგვარებული კათოლიციზმის, ისლამისა და იუდაიზმის ნარჩენების, ფსევდომართლმადიდებელ დაჯგუფებათა ბაზაზე შეიქმნება ერთიანი მსოფლიო რელიგია — ანტიქრისტეს რელიგია.“**).

აი ამისთის ილვწის საქართველოში „თავისუფლების ინსტიტუტი“, საიდანაც გამოძვრნენ ვარდების რევოლუციის შემოქმედნი და რევოლუციის შემდეგ უმაღლეს ხელისუფლებაშიც შეაღწიეს. ხოლო ისინი, ვინც ფორმალურად არ არის პოლიტიკურ — აღმასრულებელ ხელისუფლებაში ლევან რამიშვილის მეთაურობით, ფსევდოექსპერტთა, პოლიტოლოგთა თუ მწერალთა სახით, იდეოლოგიურად უმაგრებენ ზურგს არსებულ ხელისუფლებას, ებრძვიან ყველაფერს ქართულს, ტრადიციულს და, რა თქმა უნდა, ქართულ მართლმადიდებელ სარწმუნოებას.

გიგი თევზაძე ილია ჭავჭავაძის სახელობის (ცინიზმის აპოგეაძ უნივერსიტეტში იწვევს სხვადასხვა ჯურის სექტანტებს, რომლებიც „წვრთნიან“ ჩვენს შვილებს — რა მოხდა, იელოველიც ისეთივე მორწმუნეაო, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, ხოლო პროფესიონალი პედერასტები არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების კუთხით „ანათლებენ“ მომავალ თაობას, ანუ პედერასტები, „ლესბიანკებიც“ ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათთან ურთიერთობის გამო სირცხვილი, ეს მხოლოდ ჩვენი, ანუ მათი მამების ძველმოდური ახირებაა, ჩამორჩენილები და კომუნისტური მმართველობის მავნე გადმონაშთები, „გრუზინები“ ვართ.

თორემ გახედეთ, ახალგაზრდებო, განათლებულ ევროპას, სადაც მიქრის მიშას მატარებელი. იქ პედერასტებსა და სექტანტებს არათუ ავიწროებენ, არამედ არატრადიციული სექსორიენტაციის მინისტრები, დეპუტატები, ქალაქის მერებიც ჰყავთ. ანუ, თუ გვინდა ქართველებს ევროპულ ოჯახში ცხოვრება, პედერასტების პატივისცემაც უნდა ვისწავლოთ.

ჰოდა, ვსწავლობთ კიდეც. მართალია, ჯერჯერობით პედერასტების აღლუმი ჩაიშალა რუსთაველზე, მაგრამ სამაგიეროდ იქვე, ყოფილ პეროვსკაიას ქუჩაზე სრულიად ლეგალურად მოქმედებს პედერასტების ბარი თუ კლუბი, მის ფასადს, მართალია, ჯერ არ ამშვენებს ცისფერი ფარანი, მაგრამ ისე ყველამ იცის, რომ იქ ნორმალურმა კაცმა ისე, ცნობისმოყვარეობის გამო რომ მოინდომოს შესვლა, ნურას უკაცრავად.

მაინც რატომ არიან ესოდენ ძლიერ დაინტერესებულნი მთელ მსოფლიოში პედერასტების ლეგალიზაციით სოროსის ფონდი თუ სხვადასხვა ჯურის არასამთავრობო, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები? იმიტომ, რომ... ისევ ციტირება არმაზ სანებლიძის წერილიდან: **„როგორც ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელი თეოდორ ადრიანო წერდა — ყოველი ჰომოსექსუალი პათოლოგიური დივიანტია, რომელსაც ბელადისადმი მორჩილება აუცილებელ მოთხოვნად აქვს გადაქცეული... ჰომოსექსუალების არმია იდეალური სახელისუფლო პარტიაა, რომელიც შედუღაბებულია ერთიანი სამარცხვინო კავშირებითა და სექსუალური დამოკიდებულებებით, სადაც ერთმანეთს არნახულად უჭერენ მხარს“.**

და კიდევ... **„მამათმავლები, რაც კი შესაძლებლობა გააჩნიათ, ერთმანეთს მაღალი საფეხურებისკენ ექაჩებიან. თუ რომელიმე დაწესებულებაში რომელიმე მათგანი მოიკიდებს ფეხს, სულ მალე იქ სხვა მისნაირებიც გამოჩნდებიან“.**

ხომ არ გეცნობათ მკითხველებო სენატორ მაკარტნის კომისიის წევრების ეს დასკვნა? რომლებიც თავის დროზე აშშ-ს პედერასტების ძირგამომთხრელ საქმიანობას იკვლევდა — რამდენ ვინმეზე გაგვიგონია მთავრობაში თუ პარლამენტში, ბიზნესსა თუ ტელევიზიებში, შოუბიზნესსა თუ ხელოვნებაში მოღვაწეთა შესახებ, პედერასტიაო! ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ თუკი მაკარტნის კომისიის დასკვნა სიმართლეა, რამდენი პედერასტი ზის ახლა სხვადასხვა თბილ ადგილებზე?

ახალი მსოფლიო რელიგიის ცალკეულ კომპონენტებად განხილვას თუ არ შევუდგებით, ნებისმიერი ტრადიციული რელიგიის ნგრევისთვის და მათ ნარჩენებზე ახალი მსოფლიო რელიგიის შესაქმნელად ზოგადად ლიბერალობაა საჭირო. ლიბერალობის ბაზა კი ზოგადად გარყვნილებაა და კონკრეტულად ჰომოსექსუალიზმია, ანუ ყველა ლიბერალი პედერასტი არ არის, მაგრამ ყველა პედერასტი ლიბერალია!

რა თქმა უნდა აქ ჯანსაღ, ზომიერ ლიბერალობაზე კი არ არის საუბარი, რაც ყოველი დემოკრატიული საზოგადოების მახასიათებელია, არამედ იმ ლიბერალიზმზე, რამაც XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში აკაკის, ვაჟას თუ ილიას სული გაუმწარეს. ხოლო ამ უკანასკნელს ტყვიაც დაახალეს. უფრო მეტიც 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს კრახი, მნიშვნელოვანწილად სოციალ-დემოკრატების გადაჭარბებული ლიბერალობის ბრალიც იყო!

**„ევროკავშირის ქვეყნებში პედერასტებს სამოთხის პირობებს უქმნიან, იქამდეც კი, რომ მათი ცხოვრების წესის კრიტიკისთვის ციხეშიც სვამენ. ევროკავშირის ქვეყნები, როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, სოდომისტური დიქტატურისკენ მიისწრაფვიან.“** აღნიშნავს არმაზ სანებლიძე და იქვე — **„ნიდერლანდების სამეფოში, ჩვენი პირველი ლედის სამშობლოში, უკვე დაარეგისტრირეს პედოფილების პარტია“!**

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მით უმეტეს საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ ბევრნი ვართ ქართულ ეროვნულ ღირებულებებზე, ტრადიციებზე აღზრდილი „ჩამორჩენილი გრუზინები“, რა თქმა უნდა ისე ღიად ვერ მოქმედებენ და ჯერჯერობით პარტიებს ვერ ქმნიან, მაგრამ ყველა პარტიაში ცდილობენ შეძრომას პედერასტები, რათა უხმაუროდ დაეუფლონ ახალ საინფორმაციო თუ ორგანიზაციულ ბერკეტებს.

კიდევ ერთი ციტატა — **„ისინი (პედერასტები) აუცილებლად და მთელი ძალით იბრძოლებენ ნებისმიერი ტრადიციული საზოგადოების, რელიგიის წინააღმდეგ, მოაწყობენ რევოლუციებს და განახორციელებენ რევოლუციურ რეფორმებს, რადგან ტრადიციის ჩარჩოებში ისინი არარაობანი არიან.“**

აქიდან გამომდინარე, გავიხსენოთ ვარდების რევოლუცია და „რევოლუციური რეფორმები“. პირველი, რაც გააკეთეს, ეროვნების გრაფა ამოგვილეს პასპორტიდან, გააუქმეს მამათმავლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ა.შ. სხვა მრავალი „დემოკრატიული საკითხით“ ცდილობენ ქართველების ტრადიციული ცხოვრების წესის „მოდერნიზებას“.

და ყველაზე მთავარი — ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, არც ერთი ნორმალური ქართველი არ დაიჯერებს, რომ საქართველოს დედაეკლესიაზე, პირადად მის უწმინდესობაზე თავდასხმა ტუტუცი ბუდარიხა თეა თუთბერიძის კერძო ინიციატივაა — ეს ყველაფერი მსოფლიო გლობალისტ-პედერასტთა მზაკვრული გეგმების ერთი, უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რაც, საბოლოო ჯამში, ყოველგვარი ქართულის, ეროვნულის, ტრადიციულის ამოძირკვის მცდელობაა. თორემ ისე, კაცმა რომ თქვას, ვის რა ესაქმება, როგორც იტყვიან, ვინ ვის ქვეშაა თუ ზემოდან? თავშიც ქვა უხლიათ, პედერასტები ყველა დროში იყვნენ და იქნებიან, მაგრამ ამის პროპაგანდა, რომ მიდის, ეს არის სავალალო.

**თუ ასე არ არის, მაშინ იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს, რომ ამას წინათ რუსთავორებმა (სახელისუფლო ტელეარხებმა) ლამის პირველ ნიუსად გაუშვეს სადღაც დასავლეთ ევროპაში, გეების კონკურსზე, ქართველი პედერასტის გია ბარამიას გამარჯვების „სასიხარულო და საამაყო“ ამბავი!**

**დავით მხეიძე**

კავშირგაბმულობა

# „სილქნეტი“ იწყებს და... ბევრსაც გვპირდება

## რა უნდა გაითვალისწინონ, თანაც უთუოდ და დროულად, ყოფილი „გაერთიანებული ტელეკომის“ აბონენტებმა

**ნებისმიერ, მათ შორის მომსახურების ბაზარზე, ასე ვთქვათ, „მსხვილ მოთამაშეს“ ბაზრის უფრო დიდი სეგმენტის დაკავებისა და, შესაბამისად, წარმატების მიღწევის მეტი შანსი აქვს. ამ მხრივ, ცხადია, არც სატელეკომუნიკაციო ბაზარია გამონაკლისი და ეს, როგორც ჩანს, იმის ერთ-ერთი იმპულსი გახდა, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ ამ სფეროში ყველაზე მსხვილმა კომპანია სს „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ თავისსავე შვილეულ კომპანიებთან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან „აჭარის ელექტროკავშირთან“ და „ვანექსთან“ გაერთიანების შესახებ განაცხადა.**

აღნიშნული კომპანიების შერწყმით ეროვნულ სატელეკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე ახალი **შპს „სილქნეტი“** გაჩნდა. როგორც თავად კომპანიაში აცხადებენ, შპს „სილქნეტის“ ახალი მენეჯმენტის მიზანია აბონენტების მაღალხარისხიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სრული სატელეკომუნიკაციო მომსახურება, ხოლო სამომავლო სტრატეგია აბონენტებისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნაზეა ორიენტირებული, რაც, არსებითად, სამი კომპანიის გაერთიანების კიდევ ერთი მიზეზი უნდა იყოს.




ახალი კომპანიის შექმნის არსის განმარტებასთან დაკავშირებით შპს „სილქნეტის“ პრესასთან ურთიერთობის სამსახურში, კერძოდ, განაცხადეს, რომ თავის აბონენტებს ფირმა ამიერიდან სრულიად ახალი ტიპის მომსახურებას შესთავაზებს, რომელიც საკმაოდ მრავალმხრივი იქნება: **სიახლეები შეეხება, კერძოდ, ფიქსირებულ სატელეფონო კავშირსა და უსადენო სახლის ტელეფონს, ინტერნეტს. ასევე დაგეგმილია აბონენტების ერთიან ბილინგ** (ანუ აღრიცხვის — **ო.ტ.**ძ **სისტემაში ჩართვა, რომელშიც სადღეისოდ ჩართულები არიან თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და საგარეჯო, აგრეთვე ახალი სერვისცენტრების შექმნა და ძველების მოდერნიზება.**

შპს „სილქნეტის“ საინფორმაციო სამსახურის 100-100 ნომერზე უფასოდ დარეკვა წლეულს საქართველოს, ფაქტობრივად, ყველა რეგიონიდან გახდება შესაძლებელი, ამასთან, დასრულდება მხარეების ციფრული სადგურებით აღჭურვა, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს ქვეყნის ტერიტორიის ინტერნეტქსელით მთლიანად დაფარვას. ცალკე აღსანიშნავია, რომ შპს „სილქნეტის“ საშუალებით ქართულ ინტერნეტბაზარზე, სხვა საშუალებებთან ერთად, სადღეისოდ მსოფლიოს უახლესი ტექნოლოგიური პროდუქტი IPTV (ანუ ინტერნეტპროტოკოლზე დაფუძნებული — **ო.ტ.**ძ შემოვა.

კომპანია „სილქნეტში“ საგანგებოდ აღნიშნავენ იმასაც, რომ **სადღეისოდ უცვლელი რჩება სს „გაერთიანებული ტელკომის“, შპს „ვანექსისა“ და შპს „აჭარის ელექტროკავშირის“ აბონენტების (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების) მომსახურების წესები და სატარიფო გეგმა** (ფიზიკური პირებისთვის — არჩეული სატარიფო პაკეტის მიხედვით — **ო.ტ.**ძ. **მომსახურების წესებში და ან სატარიფო გეგმაში რაიმე ცვლილებების შეტანის შესახებ აბონენტებს აუცილებლად ორი კვირით ადრე ეცნობებათ.**

უნდა ითქვას, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველებს ეს მომენტი განსაკუთრებით აინტერესებთ. კერძოდ, რამდენჯერმე დაგვირეკეს საბურთალოზე „38“ ინდექსის აბონენტებმა და გვიამბეს, რომ დავალიანების საინფორმაციო სამსახურის 90-30 ნომერზე დარეკვისას ავტომოპასუხე დაჟინებით შეახსენებთ, შეიცვალეს თუ არა მათ სატარიფო გეგმა და ეს ხდება მაშინ, როცა ხალხი არჩეულით სავსებით კმაყოფილია. ამდენად, მკითხველებს აინტერესებთ, არის თუ არა ამასთან დაკავშირებით დაწყებული რაიმე ცვლილებები სატარიფო გეგმებში, ან მომსახურების წესებში, ინტერნეტის სისწრაფეში და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, სავსებით გასაგები განმარტება გააკეთეს თავად „სილქნეტის“ პრესსამსახურში, რის თაობაზე წეღან მოგახსენეთ, ხოლო იმის შესახებ, იქნება რაიმე ცვლილებები სატარიფო გეგმებსა თუ მომსახურების წესებში, დანამდვილებით არც იციან, ან, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც არ ამხელენ, ხოლო თუკი ცვლილებები მაინც განხორციელდება (ჩვენი აზრით კი ისინი აუცილებლად იქნება — **ო.ტ.**ძ, მათ შესახებ, როგორც დაგვპირდნენ, ორი კვირით ადრე გვაცნობებენ.

ახლა რაც შეეხება ამჯერად უკვე „სილქნეტის“ აბონენტებს — ფიზიკურ პირებს, რომლებმაც სს „გაერთიანებული ტელეკომის“ ანგარიშზე თავის დროზე საავანსო თანხები შეიტანეს: **ეს თანხა ავტომატურად „სილქნეტის“ ანგარიშზე გადავა და მისი გახარჯვა ძველი შეთანხმებით გათვალისწინებული წესით მოხდება.** ხოლო თუ რომელიმე კონკრეტულ აბონენტს ავანსის „სილქნეტის“ ანგარიშზე გადატანა არ სურს, იგი 12 აპრილამდე უნდა მიბრძანდეს ყოფილი „გაერთიანებული ტელეკომის“ **ნებისმიერ** სერვის-ცენტრში და მის ანგარიშზე ავანსად არსებული თანხის უკან გატანის თაობაზე წერილობით უნდა განაცხადოს. თუ ეს პროცედურა დროულად არ განხორციელდება, აბონენტს ავანსი უკან აღარ დაუბრუნდება და იგი ავტომატურად „სილქნეტის“ აბონენტის ანგარიშზე გადავა, თუმცა ამით, ფაქტობრივად, არაფერი შეიცვლება, ვინაიდან იგი ადრე დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით დაიხარჯება.

ახალი სატელეკომუნიკაციო კომპანიის შექმნასთან დაკავშირებით უფრო მეტი ყურადღება კი იურიდიულ პირებს მართებთ, რომლებსაც ყოფილი სს „გაერთიანებული ტელეკომის“ ან/და შპს „ვანექსის“ ანგარიშებზე ავანსად აქვთ თანხები შეტანილი. **მათ აუცილებლად უნდა წარადგინონ შესაბამისი თანხმობის წერილი, რათა მათი საავანსო თანხები შპს „სილქნეტის“ სათანადო ანგარიშზე გადაიტანონ.**

„სილქნეტი“ თავის აბონენტებს სთხოვს, გაითვალისწინონ, რომ თუ რომელიმე მათგანი, ვისაც ავანსად აქვს შეტანილი თანხა, აღნიშნული შინაარსის წერილს არ წარადგენს, ფირმის ანგარიშზე შესაბამისი თანხის არარსებობის გამო მას, შესაძლოა, სატელეკომუნიკაციო მომსახურება შეუწყდეს. ასევე საყურადღებოა, რომ 1 აპრილამდე იურიდიულ პირებს სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულება შპს „სილქნეტთან“ გაუფორმდებათ, მაგრამ ამ ვადამდე საჭიროა მისი განახლება, წინააღმდეგ შემთხვევაში სატელეკომუნიკაციო მომსახურება ჯერ შეფერხდება, შემდგომ კი შეწყდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

წლები



**ძნელად მოსაძებნია საქართველოში ვიქტორ გოცირიძისთანა მეორე პიროვნება, რომლის ხელმძღვანელობითაც იმდენი რამ აშენებულიყოს და შექმნილიყოს თანამედროვეობის და მომავალი თაობებისათვის. საქართველოში თითქმის არ არსებობს ქალაქი ან რაიონი, სადაც მას თავისი კვალი არ ჰქონდეს დატოვებული. საქართველოს ენციკლოპედიაში მოხსიენებულია, როგორც ქვეყნის პირველი მეტრომშენებელი.**

# ქვეყნის პირველი მეტრომშენებელი

## ვიქტორ გოცირიძე - 100

მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე დაბადებულ ვიქტორ გოცირიძეს ბედმა არგუნა უმძიმესი გამოცდის, ხიფათის და განსაცდელის ძნელი გზა: სოფელი რაჭაში, მრავალსულიანი ღარიბი ოჯახი, ბავშვობიდან ფიზიკური შრომა და სწავლა რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სკოლაში, შემდეგ „მუშფაკი“ მოსკოვში, საერთო საცხოვრებელი, ავტოსაგზაო ინსტიტუტი. ინსტიტუტის შემდეგ მუშაობდა ინჟინრად მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, 1937 წლიდან სამამულო ომის დაწყებამდე — თბილისში ქალაქის აღმასკომის სამმართველოს მთავარ ინჟინრად. ომის დროს — ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში სამხედრო მიმოსვლის სამსახურში, ომის შემდეგ კი 1952 წლამდე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსად და 1952 წლიდან, როდესაც დაარსდა თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის კოლექტივი, ჯერ უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი სიცოცხლის ბოლომდე „თბილმეტრომშენის“ უცვლელ უფროსად.

ასეთი იყო ვიქტორ გოცირიძის ცხოვრების და ნახევარ საუკუნეზე მეტი დაუღალავი შრომის გზა, მან მთელი თავისი ენერგია, გამოცდილება და მაღალერუდირებული პროფესიონალიზმი სამშობლოს შენებას მოანდომა.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში აშენებულია: რკინიგზის გვირაბები მცხეთაში, შორაპანში, მწვანე კონცხზე აჭარაში და 24 გვირაბი ზესტაფონი-ჭიათურის ხაზზე; ოთხკილომეტრიანი საავტომობილო გვირაბები სურამში და როკში; მელიორაციისათვის ჰიდროტექნიკური გვირაბები: ტაშისკარის, წებელდის, ტირიფონის, ლამისყანის, მარტყოფის, წებელდის, ალგეთის და ნადარბაზევის; უნიკალური მიწისქვეშა საცავების კომპლექსები: ყვარელში — ღვინის, სკრაში — ხილის, ხელვაჩაურში — ხილის და ბოსტნეულის; უმშვენიერესი ახალი ათონის გამოქვაბულების კომპლექსი; ბაკურიანში ცხრა წყაროს ულელტეხილზე კოსმოსური სხივების ლაბორატორია მსოფლიოში უმძიმესი 1100-ტონიანი მაგნიტის დამონტაჟებით; მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა; ბორჯომ-ლიკანში სანატორიუმის შენობების კომპლექსი; საავტომობილო გზა მაღალმთიან ომალოში; მრავალი ზვავსაწინააღმდეგო, დამცავი საინჟინრო ნაგებობა საქართველოს სამხედრო გზაზე და ბევრი სხვა.

დედაქალაქში მისი ხელმძღვანელობით აგებულია: მეტეხის გვირაბები, მტკვრის სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი, ფიზიკის ინსტიტუტი, გეოფიზიკის მიწისქვეშა სეისმური ლაბორატორია, მეტროპოლიტენის და რკინიგზის ფოსტამტის ადმინისტრაციული შენობები, პირველი მიწისქვეშა გადასასვლელები, საცხოვრებელი სახლები 3000-ზე მეტი ბინით და რაც მთავარია — თბილისის მეტროპოლიტენი 21 მშვენიერი სადგურით, 53 კილომეტრი სადგურების დამაკავშირებელი გვირაბებით და ინფრასტრუქტურით.

მეტროპოლიტენის ყოველ სადგურში ვიქტორ გოცირიძის სიცოცხლის ნაწილია ჩაქსოვილი და ჩვენ გვჯერა, რომ იქ მისი სული ტრიალებს.

ჩვენ, ვეტერანებს, გვახსოვს მეტროპოლიტენის მშენებლობისათვის ტრაგიკული 1953 წელი, როდესაც საკავშირო მინისტრთა საბჭომ 7 სექტემბრს გამოიტანა დადგენილება თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის ლიკვიდაციის შესახებ.

სწორედ მაშინ იჩინა თავი ქართველი საზოგადოების, მეტრომშენებლების და მეტრომშენებლობის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვიქტორ გოცირიძის შემართებამ და, შეიძლება თქმა, თბილისის მეტრო დაღუპვას გადაურჩა. ორი წლის შემდეგ მიწისქვეშა გამონამუშევრებს მიენიჭა თავდაცვის ნაგებობების სტატუსი და მეტროში მუშაობა ოფიციალურად განახლდა. შექმნილ სიტუაციაში დიდი როლი ითამაშა ვიქტორ გოცირიძის მონდომებამ, პრინციპულობამ და დაუღალავმა მოქმედებამ, მისმა ავტორიტეტმა ზემდგომ ორგანოებში.

ყველას ახსოვს 90-იან წლებში რა გადამწყვეტი როლი ითამაშა მეტროპოლიტენმა, როგორც საიმედო ტრანსპორტმა, მგზავრობის უზრუნველსაყოფად, როდესაც ქალაქი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ვიქტორ გოცირიძემ თავისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი მოახმარა მის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვარს — მეტრომშენებლობის ქართული სკოლის შექმნას. მისი წარმომადგენლები დაეხმარნენ მეტროპოლიტენის მშენებლობაში მოსკოვში, ეკატერინბურგში, ბაქოში, ერევანში, ტაშკენტში და ამჟამადაც მუშაობენ საზღვარგარეთის რამდენიმე ქალაქში.

მეტროპოლიტენის და სხვა ობიექტების მშენებლობის დროს ვიქტორ გოცირიძის ხელმძღვანელობით „თბილმეტრომშენმა“ დანერგა მრავალი ტექნიკური სიახლე: მაღალი წარმადობის მექანიკური ფარი; მექანიკური ფარი პრესბეტონის სამაგრის მოწყობის კომპლექსით; გვირაბგამყვანი კომბაინი; ნაშხეფბეტონის სამაგრი; მოძრავი ლითონის ყალიბი ერთთაღიანი სადგურისათვის; გრუნტების ღრმა ცემენტაცია და ბევრი სხვა.

მისი უშუალო დახმარებით „თბილმეტრომშენში“ პირველად საქართველოში და საბჭოთა კავშირში განხორციელდა უზნის იჯარა და მშენებლობის ღირებულების გაანგარიშება კომპიუტერის გამოყენებით,



**ვიქტორ გოცირიძე თავის შვილიშვილთან გია კეკელიძესთან (მარჯვნივ) და მის მეგობართან — იაგო კალანდაძესთან ერთად (გასული საუკუნის 70-იანი წლები).**

რაც მოიწონა საქართველოს „საქმშენმა“ და მშენებლობის სამინისტრომ.

მისი, როგორც თბილისის საპატიო მოქალაქის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის, შრომის გმირის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატისა და ღვაწლმოსილი თანამამულის სახელი საზოგადოებრიობის თხოვნით მეტროპოლიტენის სადგურს მიენიჭა. მაგრამ რამდენიმე ხნის წინათ, ჩვენდა სამწუხაროდ, სადგურ „ვიქტორ გოცირიძეს“ სახელი შეეცვალა.

ჩვენს მახსოვრობაში ვიქტორ გოცირიძე დარჩება, როგორც დიდი პიროვნება, ჭეშმარიტი პატრიოტი, საქმის ერთგული, გაბედული ინჟინერი და ნიჭიერი ორგანიზატორი, ამავე დროს მომხიბლავად გულისხმიერი და კაცთმოყვარე ადამიანი.

ვიქტორ გოცირიძეს დავიწყება არ უწერია.

**მეტრომშენებლობის ვეტერანთა ჯგუფი.**

ფრაგმენტები კოლხეთის ისტორიიდან

# 1. ოლთაკე – კოლხეთის „მეფე“

**რომის აღმოსავლურ აგრესიას დასუსტებული ელინისტური სახელმწიფოები ქედმოდრეკილი შეხვდნენ. ერთადერთი მეფე, რომელიც ღირსეულად აღუდგა დასავლეთს, იყო პონტო. მისმა მეფემ, ძველი სამყაროს უთვალსაჩინოესმა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწემ მითრიდატე VI ევპატორმა, რომთან დაპირისპირებამდე ცეცხლითა და მახვილით შექმნა შავი ზღვისპირეთის უზარმაზარი იმპერია.**

კოლხეთი, როგორც პონტოს მეზობელი ქვეყანა, თავიდანვე მოექცა მითრიდატე ევპატორის ყურადღების არეში და მტკიცედ დამკვიდრდა იმპერიის შემადგენლობაში. ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ეს რეალობა მწირად არის ასახული. პონტო-კოლხეთის ურთიერთობას შედარებით ვრცლად ეხება სტრაბონი. მის გეოგრაფიაში საინტერესო ცნობებია კოლხეთის წარსულის, განსაკუთრებით პოლიტიკური სტატუსის შესახებ, აგრეთვე მოთხრობილია იმ როლზე, რომელიც ჰქონდა დაკისრებული პონტოს ფლოტის აღჭურვაში. სტრაბონი წერს: **„რამდენად იყო ეს ქვეყანა სახელგანთქმული ძველად, გვიჩვენებენ მითები, რომლებიც მოგვითხრობენ, თუმცა ბუნდოვანი ფორმით, იასონის ლაშქრობაზე, რომელმაც მიაღწია მიდიამდე, და კიდევ უფრო ადრინდელ ფრიქსეს ლაშქრობაზე. მომდევნო მეფე-მემკვიდრეები ფლობდნენ ქვეყანას დაყოფილს „სკეპტუხიებად“, მაგრამ მათი კეთილდღეობა მცირე იყო. როდესაც მითრიდატე ევპატორის ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, ქვეყანა დაექვემდებარა მის ბატონობას. მეფე მუდმივად გზავნიდა ვინმეს „მეგობრებიდან“, „მოადგილის“ ან „გამგებლის“ ხარისხით. ამ მმართველთა რიცხვში იყო მოაფერნე – დედაჩემის ბიძა, მამის მხრიდან. ამ ქვეყნიდან მეფე ღებულობდა ყველაზე მეტად დახმარებას თავისი ფლოტის აღსაჭურვად. მითრიდატეს ძლიერების დაცემის შემდეგ მთელი მისი სახელმწიფო დაიშალა და დანაწილდა მრავალ მმართველთა შორის. ბოლოს კოლხეთს დაეუფლა პოლემონი, მაგრამ ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მართავდა მისი მეუღლე პითოდორიდა, რომელიც იყო კოლხების, ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის დედოფალი“** (გეოგრაფია, XI, II, 18). სტრაბონის თხრობის თანახმად, სკეპტუხიებად დაყოფილი კოლხეთის კეთილდღეობა (უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური) ვერ იდგა სასურველ სიმაღლეზე. დაქუცმაცებულმა ქვეყანამ გაძლიერებულ პონტოს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. იმდენად შეუვალად გრძნობდა ევპატორი თავის ბატონობას კოლხეთში, რომ მის ბედს საკუთარი შეხედულებების შესაბამისად განიკითხავდა. სტრაბონის ინფორმაციას საფუძვლად ედო ოჯახური გადმოცემები.

კოლხეთისა და პონტოს ურთიერთობა სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ პოპულარული და შესწავლილი თემაა. მაგრამ არის საკითხი, რომელიც განსხვავებულ მიდგომას და ინტერპრეტაციას მოითხოვს. **კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს კოლხეთის „მეფედ“ თუ „გამგებლად“ დანიშნული მითრიდატე ევპატორის „მეგობარი“ ოლთაკე.** ანტიკური ავტორების (განსაკუთრებით პლუტარქეს) გათვალისწინებით, კარგად ჩანს, რომ კოლხეთის „მეფის“ ტიტულის მფლობელი ოლთაკე მითრიდატე ევპატორის გარემოცვაში შემთხვევით პიროვნებას არ წარმოადგენდა და ასევე შემთხვევით არ მოხვედრილა იგი გნეუს პომპეუსის ტრიუმფის საპატიო ტყვეთა ჩამონათვალში.



მითრიდატე ევპატორის ძლიერების ხანაში, კოლხეთის სამი „გამგებლის“ თუ „მეფის“ სახელია ცნობილი. სტრაბონის ცნობას თუ დავეყრდნობით, მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, რადგან კარგად ინფორმირებული ისტორიკოსი გარკვევით წერს, რომ ევპატორი კოლხეთში ხშირად აგზავნიდა დაპყრობილი ქვეყნის მმართველებად თავის მეგობრებს. ამ მრავალი მეგობრიდან სტრაბონმა მხოლოდ თავისი დედის ბიძის სახელი დაუტოვა ისტორიას. დანარჩენი ორის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სხვა ავტორები. რომთან პირველი ომის (ძვ. წ. 89-84 წლები) მომდევნო ხანებში, ევპატორმა აჯანყებული კოლხების ინიციატივით, კოლხეთის მეფედ დანიშნა საკუთარი ძე **მითრიდატე.** უფლისწულის მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მრისხანე მამას შვილის ერთგულებაში ეჭვი შეუტანია, თითქოს კოლხებსა და მითრიდატე მცირეს შორის არსებობდა საიდუმლო შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავდა პონტოსაგან კოლხეთის ჩამოშორებას. პონტოს მეფემ შვილი გაიწვია, ოქროს ბორკილები დაადო და საპყრობილეში ჩასვა. მოკლე ხანში კი, როგორც მოღალატე სიკვდილით დასაჯა (აპიანე, მითრიდატული ომები, 64).

რაც შეეხება მესამე „მეფე-გამგებელს“ ოლთაკეს, იგი იყო მითრიდატე ევპატორის ხელისუფლების უკანასკნელი წარმომადგენელი. მისი დანიშვნა არაორდინალურ სიტუაციაში მოხდა. „მითრიდატული ომების“ ავტორის, აპიანეს ყურადღება ოლთაკემ, როგორც კოლხეთის მეფემ მიიპყრო და ამიტომ მიუჩინა თვალსაჩინო ადგილი თავის ისტორიაში.

მითრიდატე ევპატორთან ერთად დამარცხდა მთელი ელინისტური აღმოსავლეთი. ესოდენ დიდი გამარჯვება რომაელებმა გრანდიოზული ზეიმით აღნიშნეს, რაც გამოიხატა ძლევამოსილი სარდლის გნეუს პომპეუსის ტრიუმფში. გამარჯვებულთა ცერემონიალი ფართოდაა აღწერილი ანტიკურ წყაროებში. პომპეუსის ტრიუმფის ყველაზე ვრცელი თხრობა დაცულია აპიანეს „მითრიდატულ ომებში“. ისტორიკოსის თანახმად, ტრიუმფს საზეიმო განწყობას მატებდა აღმოსავლეთის დამარცხებული სამეფოს ოჯახის წევრები. იგი წერს, **პომპეუსის ეტლს წინ მიუძღოდნენ დიდებულები, მეფეების შვილები და სარდლები, ნაწილი ტყვეების, ხოლო ნაწილი მძევლების სახით – მათი რიცხვი იყო 324. აქ იყო ტიგრან ტიგრანის ძე, მითრიდატეს ხუთი ვაჟი (არტაფერნე, კიროსი, ოქსატრი, დარიოსი, ქსერქსე) და ორი ასული (ორსაბარისი, ევპატრა). მოდიოდა კოლხების მეფე ოლთაკე და იუდეის მეფე არისტობულე... იბერთა სამი და ალბანთა ორი წინამძღოლი** (მითრიდატული ომები, 117). აპიანეს ჩამოთვლილი აქვს აგრეთვე აზიის ყველა დამარცხებული ხალხის მეფე-მთავრები.

პლუტარქეს პომპეუსის ტრიუმფზე მოხსენიებული აქვს მხოლოდ დამორჩილებული ქვეყნები. მისი სიტყვებით, საზეიმო პროცესიაზე მოჰქონდათ დაფები, რომლებზედაც ჩამოწერილი იყო დამარცხებული ქვეყნების სია: **პონტო, სომხეთი, კაპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხეთი, იბერები, ალბანელები, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკიისა და პალესტინის ტომები, იუდეა, არაბეთი** (პლუტარქე, პომპეუსი, 45).

ტიტუს ლივიუსი პომპეუსის ტრიუმფზე მხოლოდ მითრიდატეს, ტიგრანსა და მის ძეს ასახელებს (ლივიუსი, პერიოხები, 103). მისი თხზულების ამ ფრაგმენტებში კოლხები და იბერები არ ფიგურირებენ.

ევტროპიუსს პომპეუსის ტრიუმფზე კოლხები და იბერები დასახელებული არ ჰყავს. „რომის მოკლე ისტორიაში“ ტყვეების სახით მითითებული არიან მითრიდატეს, ტიგრანისა და არისტობულეს შვილები (ევტროპიუსი, VI, 15).

ანტიკურ წყაროებში გნეუს პომპეუსის ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის გადმოცემული. აპიანე წერს, პომპეუსმა პონტოს ძლიერი მეფის დამარცხებასთან ერთად, დაამარცხა სხვა ქვეყნებიც, მათ შორის მითითებულია იბერია და

პირველი შთაბეჭდილება

# გაბედულების ფეიერვერკი... და მთავარი

***თეატრალური ხელოვნების მოყვარულნი კიდევ ერთი დღესასწაულის თანამონაწილენი გახდნენ – საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრში დაიდგა და დიდი წარმატებით სარგებლობს სპექტაკლი „ქრისტე“, რომელმაც ერთნაირად დააინტერესა და ააღელვა ახალგაზრდა თუ ასაკოვანი მაყურებელი. სპექტაკლები სრული ანშლაგით მიდის და გაყინულ დარბაზში მსხდომთაგან, საბედნიეროდ, არავინ განიცდის სიცივით გამოწვეულ დისკომფორტს, რადგან ამ ნახევრად დანგრეულ შენობაში (იმედია, ამ სიტყვებს ყურად იღებს ის, ვისაც საქმის მოგვარება ევალება), ამ პატარა დარბაზის სცენაზე სასწაული ხდება – ჯვარცმული ქრისტეს ფერხთით ზის მარიამ ღვთისმშობელი და იხსენიებს განკაცებული მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებას.***

ერთმანეთს ენაცვლება სულისშემძვრელი სცენები: ბეთლემი, დაბადება, მეფე ჰეროდეს ბრძანებით ყრმათათვის მოწყობილი სასაკლაო და დედის მიერ ჩვილი იესოს მართლაც სასწაულებრივი გადარჩენა...

უაღრესად შთამბეჭდავია სცენა იერუსალიმის დიდ ტაძარში, რომელიც სიწმინდისგან დაცლილა, რადგან ყომარბაზები, სულით მახინჯნი და ოქროს დახარბებულნი დაპატრონებიან – ქრისტე ბოლოს უღებს უზნეობის ზეიმს და ტაძარი ისევ ღვთის სახლად იქცევა. ჩვენს დისჰარმონიულ ყოფაში მართლაც დროულია იმის შეხსენება, რომ სიწმინდის სახლს უწმინდურება არ უნდა დაეპატრონოს, რადგან თუ ეს დავუშვით, ერთნაირად წაიბილწება ერიც და ბერიც. ქრისტემ ტაძარში ტაძარი დააბრუნა და განა თითოეული ჩვენგანი, უფლის მიერ მონიჭებული სულის მფლობელი და უფლის ხატად შექმნილი, ტაძარი არ არის? განა ამ ტაძარს არ სჭირდება მდაბალი ვნებებისგან განწმენდა – სიხარბისგან, შურისგან, ფარისევლობისა და ყოველგვარი უგუნურებისგან დაცლა?!

... სცენაზე კი სწორედ ფარისევლობისა და სიხარბის დროებითი ზეობის ეპიზოდი თამაშდება: იუდა ოცდაათმა ვერცხლმა აცდუნა, პილატემ „ხელები დაიბანა“, ბრბომ კი ქრისტეს ბარაბა არჩია და ჯვარცმის განაჩენი გამოუტანა მოძღვარს. კაცობრიობის ცოდვების მტვირთველი აღესრულა როგორც კაცი და აღსდგა როგორც ღმერთი – ეს ყველაფერი გადმოცემულია საოცარი პლასტიკით, ორიგინალური მიზანსცენებით, რაც ნამდვილად არ გვიკვირს, რადგან პანტომიმის თეატრი სწორედ ამგვარი დადგმებით გვანებივრებს. თეატრმცოდნე არ გახლავართ, მაგრამ როგორც ერთ რიგით მაყურებელს, რომელსაც ჰქონია „ფიროსმანის“, „კრიმანჭულის“, „სტუმარ-მასპინძლის“, „მთვარისკენ ნასროლი მიხაკის“ ნახვის ბედნიერება, შემიძლია განვაცხადო, რომ ყოველი სპექტაკლი მართლაც დუმილის პოეზიაა, ამ თეატრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ბატონი ამირან შალიკაშვილი კი – დუმილის პოეტი (როგორც თავად აღნიშნა). ვინც მის პოეზიას იცნობს, დამეთანხმება, რომ ორმაგ პოეტთან გვაქვს საქმე: სიტყვის მესაიდუმლესთან და იმ საოცარი, მდუმარე პოეზიის შემქმნელთან, რომელიც მის ყოველ სპექტაკლში გვხიბლავს – სიტყვის ადგილს მსახიობების ზუსტი, დახვეწილი მოძრაობა, ჟესტები და მეტყველი მიმიკა იჭერს – წარმოუდგენელია, გულგრილად აღიქვა ამირან შალიკაშვილის (უმცროსის) მიერ შესრულებული ქრისტე, მისი გარეგნული სახე, ემოციური და იმავდროულად, საოცარი სულიერების, სიმშვიდით აღბეჭდილი მოქმედებები, ღვთისმშობლის (ნინო ლორთქიფანიძე) ტკივილიანი, სასწაულის მომლოდინე თვალები, მარიამ მაგდალინელის (სალომე ფილიშვილი) შეშინებული, მაგრამ მაინც ღირსების გრძნობით აღსავსე იერი გამძვინვარებული ბრბოს წინაშე... მთელი დასი შესანატრი პროფესიონალიზმით გამოირჩევა, ამიტომაც დიდხანს ვერ ვივიწყებთ იმათ პერსონაჟებს.



სპექტაკლში კიდევ ერთი, თვალით უხილავი პერსონაჟია – დიდი სიზუსტითა და გემოვნებით შერჩეული მუსიკა, რომელიც შესაბამის განწყობას გვიქმნის: ჟღერს დებიუსის „მთვარის შუქი“, კანტანტა „კარმინა ბურანა“ – კომპოზიტორმა გიორგი ჩლაიძემ კიდევ ერთხელ გაგვახარა.

ვისაც მწერალ რევაზ მიშველაძის პიესის მიხედვით მეტეხის ახალგაზრდულ თეატრში დადგმული სპექტაკლი – „უფანდუროდ ნამღერი“ ახსოვს, დამეთანხმება, რომ სპექტაკლი იმ პერიოდისთვის ძალიან თამამი განაცხადი იყო და არავინ დაუტოვებია გულგრილი არც მოქალაქეობრივი პათოსისა და არც მხატვრული ღირსების თვალსაზრისით – ქართველმა მწერალმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ სცენაზე, შემდეგ კი პანტომიმის თეატრში მისი თვითმყოფადი პროზა სხეულის ენაზე ამეტყველდა. რევაზ მიშველაძისა და ამირან შალიკაშვილის ურთიერთთანამშრომლობა დღეს არ დაწყებულა – „მთვარისკენ ნასროლი მიხაკისა“ და „წმინდა გიორგის“ კეთილი ნაყოფია, რომელიც სიტყვის ოსტატისა და სცენის ოსტატის თანამოაზრეობამ გამოიღო და რომელიც საუკეთესო ემოციებს აღძრავს მაყურებელში – ახლა ამ სპექტაკლებს „ქრისტეც“ დაემატა...

**რევაზ მიშველაძე:** – ალბათ, გახსოვთ, როგორი ვნებათაღელვა გამოიწვია „წმინდა გიორგის“ დადგმამ, იყო წინააღმდეგობა რამდენიმე გაუცნობიერებელი საეკლესიო მსახურის მხრიდან, შემდეგ ეს სპექტაკლი უწმინდესმა აკურთხა – ამ ფაქტმა „ქრისტეს“ დასადგმელად შეგვაგულიანა და აი, პრემიერაც შედგა... სხვათა შორის, ქართული თეატრისთვის ეს თემა შეიძლება ახალი იყოს, მაგრამ ქართველებისთვის ახალი არა რის, რადგან ჩვენ მუდამ ვმონაწილეობთ იმ მოწამებრივ ცხოვრებაში, რომელიც ქრისტემ გვაჩვენა და ვცდილობთ, მის მიერ მითითებული გზით ვიაროთ, სულიერი განწმენდის გზით – აქ არაფერია ახალი

კოლხეთი (მითრიდატული ომები, 114). ტიტუს ლივიუსის მიხედვით, პომპეუსმა ჯერ დაიპყრო იბერია, შემდეგ გადავიდა კოლხეთში (ლივიუსი, პერიოხები, 101). პლუტარქესთან პომპეუსმა იბერიის შემდეგ დაიპყრო კოლხეთი (პლუტარქე, პომპეუსი, 34). დიონ კასიოსი ვრცლად აღწერს პომპეუსის ბრძოლებს იბერიის მეფე არტოკესთან. კოლხეთში კი დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია (დიონ კასიოსი, XXXVII, 1-3). ევტროპიუსი ლაკონურად გვაუწყებს: პომპეუსმა დაამარცხა იბერიის მეფე არტაკი, კოლხების მეფედ დასვა არისტარქე (ევტროპიუსი, VI, 14). ვინ იყო არისტარქემდე კოლხეთი მეფე ევტროპიუსი არ აღნიშნავს. არც ერთ ავტორს, აპიანეს გარდა, კოლხეთის მეფის ოლთაკეს სახელი ნახსენები არ აქვს. აპიანეც ერთხელ, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვან როლში წარმოგვიდგენს მითრიდატე ევპატორის უკანასკნელ დიდ მცველს, რისთვისაც პომპეუსის ტრიუმფზე წინა რიგში დგომა დაიმსახურა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ოლთაკეს სახელი მხოლოდ პომპეუსის ტრიუმფთან დაკავშირებით ფიგურირებს. ცნობების სიმწირის გამო ამ ფაქტის აღნიშვნით მთავრდება მსჯელობა მის შესახებ. უნდა გავითვალისწინოთ, მითრიდატე ევპატორი უთანასწორო ბრძოლების უმძიმეს, თითქმის ტრაგიკულ მომენტში, კოლხეთის „მეფე-გამგებლად" შემთხვევით პიროვნებას არ დანიშნავდა.

ვინ იყო ოლთაკე? რა კავშირი ჰქონდა მითრიდატე ევპატორთან და რა დამსახურებისათვის მიიღო კოლხეთის მეფის ტიტული? ბერძენ-რომაელი მწერლები კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით არაფერს გვაუწყებენ. ამის მიუხედავად, ნათელია, რომ ოლთაკე სტრაბონის ხაზგასმულ მითრიდატეს „მეგობართა" ვიწრო წრეში შედიოდა და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. ოლთაკეს სახელთან დაკავშირებულ პრობლემას ნათელი მოეფინება, თუ გავითვალისწინებთ „ლუკულუსის" ბიოგრაფიაში პლუტარქეს საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას. დიდი მწერლის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია, ახალი კუთხით დავინახოთ კოლხეთის უცნობი „მეფე".

ლუკულუსის ბიოგრაფიაში ოლთაკე დახატულია მითრიდატე ევპატორის გარემოცვის გამორჩეულ პიროვნებად. ჩამოთვლილ ღირსებათა გათვალისწინებით, მიგვაჩნია, პომპეუსის ტრიუმფის მონაწილე კოლხეთის „მეფე" და ლუკულუსის ბიოგრაფიაში ნახსენები ოლთაკე ერთი და იგივე პიროვნება იყო. სხვა ოლთაკეს „მითრიდატული ომების" ეპოქა არ იცნობს. პლუტარქე წერს, „მითრიდატეს ბანაკში დანდარიების ერთი ბელადი იყო, სახელად ოლთაკე. დანდარიები ერთ-ერთი ტომია იმ ბარბაროსთა, რომლებიც მეოტისის ტბის სანაპიროზე ცხოვრობდნენ. ეს ოლთაკე ყოველგვარ საომარ საქმეში გამოირჩეოდა ღონითა და მამაცობით. მნიშვნელოვან ამბავთა განსჯის დროს მახვილ გონებას ამჟღავნებდა. სხვებთან ურთიერთობაში კი ფრიად ალერსიანი და თავაზიანი კაცი იყო. ოღონდაც მუდამ უთანხმოება და მეტოქეობა ჰქონდა პირველობის გულისათვის ერთ-ერთ თანამემამულე მთავართან. აი ამის გამო ოლთაკემ მითრიდატეს დიდი საქმის შესრულება აღუთქვა: ლუკულუსის მოკვლას დაპირდა. მეფემ ეს მოიწონა და ოლთაკეს განგებ შეურაცხყოფა მიაყენა, რათა მისი მოჩვენებითი რისხვა გამოეწვია. ვითომ ნაწყენი ოლთაკე ცხენზე შეჯდა და ლუკულუსთან გაიქცა.

ლუკულუსმა იგი გულთბილად მიიღო, ვინაიდან რომაელთა ბანაკში დიდად ჰქონდა სახელი განთქმული. მცირე ხნის გამოცდის შემდეგ ლუკულუსი ისე მოიხიბლა ოლთაკეს საზრიანობით და გულისხმიერებით, რომ ხანდახან მასთან ერთად სადილობდა და ბჭობდა კიდევაც" (პლუტარქე, ლუკულუსი, 16).

დიდი მცდელობის მიუხედავად, ოლთაკემ დანაპირები ვერ შეასრულა და გაწბილებული დაბრუნდა. დანაპირების შეუსრულებლობას მითრიდატესთან ურთიერთობაზე გავლენა არ მოუხდენია. ოლთაკე ბოლომდე მეფის გვერდით დარჩა და თანაბრად ინაწილებდა „მითრიდატული ომების" დაღმავალი დინების სიმძიმეს. სისხლისაგან დაწრეტილი ევპატორი, პომპეუსისაგან დევნილი, ბოსფორისაკენ გაემართა. ერთგული კარისკაცი ოლთაკე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნის „მეფედ" დანიშნა. კოლხეთს, როგორც უკანასკნელ სიმაგრეს აზიაში, უნდა დაეცვა მითრიდატე. ევპატორი არ შემცდარა. საპასუხისმგებლო დავალება და „მეფის" ტიტული უბოძა მრავალ გასაჭირში გამოცდილ „მეგობარს". ოლთაკემ არ უღალატა დამარცხებულ მითრიდატეს და ბოლომდე თავგანწირვით იბრძოლა მეფური ღირსების დასაცავად.

იხ. 11 გვ.



იმის გარდა, რომ ქრისტეს უნდა მივეახლოთ. ძალიან მაინტერესებს ბიბლიური თემა, ამ თემაზე სამი ნოველა მაქვს შექმნილი. ერთი რამ არის საოცარი – ოთხივე სახარება, ისევე, როგორც ბიბლია, გენიალური მწერლების დაწერილია. „რომელმან არა სცოდა, პირველად იმან ესროლოს ქვა" – აბა, ვინ იტყოდა ამას გენიალური მწერლის მეტი? ფაქტია, რომ დედამიწის მოსახლეობის ორმა მესამედმა გაითავისა ეს სიტყვები... „ქრისტეს" ინსცენირება, შეიძლება ითქვას, გაბედულების ფეიერვერკია, ქართული თეატრის ისტორიაში საეტაპო ნაწარმოები დავდგით. როგორია სპექტაკლის მხატვრული დონე, ეს მაყურებლის გადასაწყვეტია, ჩვენ ჩვენი გავაკეთეთ... ყველაზე მეტად სასიხარულო ისაა, რომ ახალგაზრდობა ისე მოდის წარმოდგენაზე, როგორც საყდარში.

**ამირან შალიკაშვილი:** – სულ ვამბობდი, არ გამაბრაზოთ, თორემ ქრისტეზე დავდგამ სპექტაკლს-მეთქი. „წმინდა გიორგიზე" მუშაობისას გარკვეული წინააღმდეგობები შეგვხვდა, რამაც ძალიან მატკინა გული. როცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა სპექტაკლი, ტკივილისაგან გავთავისუფლდი და „ქრისტეზე" გადავერთე... აბა, რა გითხრათ, ასეთი ნამდვილად არაფერი დამიდგამს, ესაა ჩემი ლოცვა ჩემი შვილებისთვის, ჩემი ერისთვის, მთელი ქვეყნისთვის – ეს ჩემი ტანჯვისა და სიხარულის ლოცვაა! სულ ვამბობდი, რომ ვარ დუმილის პოეტი, ამ დუმილში ბევრი რამ არის... ყოველი სპექტაკლის დაწყების წინ ჩემს დასთან ერთად ვდგავარ ხელიხელჩაკიდებული და ერთად ვლოცულობთ, სპექტაკლის შემდეგ კი შინ ვბრუნდები და თან მიმყვება ქრისტეს წამება...

**თემურ აბულაშვილი:** – 30 წელზე მეტია, რაც ამ თეატრის ერთგული მაყურებელი ვარ. 30 წლის წინ აქ ბრეჟნევის „მცირე მიწა" დაიდგა, რომელზედაც რეცენზია დავწერე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში". მიუხედავად ნაწარმოების უდღეურობისა, თავად სპექტაკლი ბრწყინვალე გამოვიდა, მას შემდეგ არც ერთი დადგმა არ გამომიტოვებია. ბატონი ამირანი, ამ თეატრის დამაარსებელი, თავისი საქმის ნამდვილი დიდოსტატია – მას მშვენივრად ესმის სხეულის ენა, რაც უმთავრესია ამ ჟანრის თეატრში. გასაკვირი არაა, რომ უამრავი ჯილდო აქვთ მიღებული... მიხარია, რომ ორი დიდი ხელოვნის ერთობლივმა მუშაობამ ასეთი საოცარი სპექტაკლები გვაჩუქა: „მთვარისკენ ნასროლი მიხაკი", „გიორგი ბრწყინვალე", ახლა კი „ქრისტე" – ცხადია, ეს ყველაზე რისკიანი ნაბიჯი იყო და ფაქტია, რომ გაიმარჯვებს. მინდა აღვნიშნო, რომ მთელი დასი დიდი პროფესიონალიზმით გამოირჩევა, ამირან შალიკაშვილი (უმცროსი) კი მართლაც ვირტუოზია. ვისურვებდი, რომ ეს სპექტაკლი ყველა ახალგაზრდამ ნახოს – სწორედ ქრისტესკენ მიმავალი გზა გადაარჩენს კაცობრიობას ამ კატაკლიზმებით სავსე სამყაროში, გადარჩენა და სულის ხსნა კი მთავარია.

**ნინო სიხარულიძე**

**სურათებზე:** სცენები სპექტაკლიდან.

## მკითხველმა ლექსი შემოგვაჩვია

# ომარ ქეშელაშვილი

## შენი ხატება სულ თვალწინ მიდგას

**თუკი ვინმეა ამ ქვეყანაზე,**
**გულთამხილველი და გულთმპყრობელი,**
**რომელსაც ესმის შენი გულისთქმის,**
**ეს დედა არის, დედა-მშობელი.**
**მხოლოდ დედაა ამ ქვეყანაზე,**
**რომელიც იგებს შენს გულისფეთქვას,**
**ჯერ არ ყოფილა შენს გულისწადილს**
**არ მიმხვდარიყოს და რომ არ ეთქვას.**
**როგორ მიყვარხარ, შენ ჩემო დედა,**
**იცი მხოლოდ შენ, სხვას არვის ვეტყვი,**
**შენი სული ვარ, შენი სხეული,**
**უშენოდ ვერ ვძლებ, სულ ამას გეტყვი.**
**რატომ მიყვარხარ? თუ მაინც მკითხავ,**
**და თუ გჭირდება ამისი ახსნა,**
**არ ვიცი, როგორ გაგცე პასუხი,**
**როგორ გაუწყო, ან როგორ ავხსნა.**
**მე მაგონდება ის დრო, წუთები,**
**შენ ჩემთან ერთად როცა იყავი,**
**მაშინ მე ვგრძნობდი დიდ აღმაფრენას,**
**დავფრინავდი და ზეცას ვიყავი.**
**არ არსებობდა რაიმე ზღუდე,**
**არ დამეძლია და არ დამეპყრო,**
**მე შენი ლოცვა ყოველდღიური**
**და შენი ძალა მთლად ხელში მეპყრო.**
**ახლა კი, როცა ხარ გარდასული,**
**როგორც კანონი დიდი ბუნების,**
**შენი ხატება სულ თვალწინ მიდგას,**
**არც მაქვს სურვილი რამე ცდუნების.**
**ყოველდღე გხედავ, ყოველწამიერ,**
**თვალი, ყოველდღე ცრემლით მევსება,**
**ამას არც ვამბობ, ვერც ვერვინ ხვდება,**
**ვერც ჩემი შვილი, ჩემი შევსება.**
**მე, ასე ყოფით გავლევ ცხოვრებას,**
**შენს სასახელოდ, შენ, ჩემო დედა,**
**შენ შემოგევლე, კვლავაც შენა ხარ,**
**ჩემი იმედი, მაღალი, ზედა.**

## საქართველო

**ვის არ სწვევია და ვის არ უგრძნია**
**სამშობლოს განცდა,**
**ვის არ რგებია მისი მადლცვენა,**
**როგორც მალამო,**
**თუმც საქართველო მაინც სულ სხვაა,**
**თავის დიდებით,**
**გულში ძლიერად ისე ჩამჯდარი, რომ**
**ვერ დამალო.**
**საქართველოს ყველა კუთხე,**
**უკლებლივად ყველა მხარე,**
**გამორჩევით ლამაზი და ერთ დიდ**
**მძივად ასხმულია,**
**საქართველოს ყველა ქედი, ყველა**
**მთა და ყველა ბარი,**
**ერთ საერთო სისრულეში მტკიცე**
**ბურჯად ჩასმულია.**
**საქართველოს ყველა კუთხე,**
**უკლებლივად ყველა მხარე,**
**ციდან ნასესხები ფერით ჯერ არნახულ**
**სურათს ხატავს,**
**შიგ გვირისტი მოჩანს ბევრი,**
**ერთმანეთში ჩაქარგული,**
**ისე კარგი, ისე ნაზი, კაცის თვალი**
**რომ ვერ ნახავს.**
**საქართველოს ცისკრის ბუდეს**
**ასხივებს და აელვარებს**
**სვეტიცხოვლის ბრწყინვალება და**
**სიონის ხატი წმინდა,**
**აზიდული ალავერდი, გელათი და**
**ნიკორწმინდა,**
**ვერ ძღები ამ საოცრებით, კიდევ**
**უფრო მეტი გინდა.**
**დაბლივ ზოლში დიდი ზღვაა,**
**მოლივლივე, ლურჯ-კამკამა,**
**მაღლა მთები მოკეკლუცე,**
**მწვერვალებად აღმართული,**
**უღრან ტყეთა მთელი წყება,**
**ცის კიდემდე აწეული,**
**ნაირფერად მოშრიალე, თითქოს**
**აკვნად დარწეული.**
**საქართველოს სიყვარული**
**მასულდგმულებს, ძალას მმატებს,**
**ის მიპყრობს მთელი არსებით და**
**დღითი დღე მიმძლავრდება,**
**რაც დრო გადის, მე ეს განცდა უფრო**
**მეტად მეუფლება,**
**თითქოსდა უსასრულოა და არასდროს**
**არ მთავრდება.**

## მოდი და ჩვენც წავიმღეროთ

**ველ-მინდვრების ხალიჩაზე**
**სიყვარულის სუფრას გავშლი,**
**ზემოთ მოვფენ სილამაზეს,**
**არასოდეს რომ არ ავშლი.**
**გაზაფხულის სიო, გრილი**
**სახეს ნაზად მოედება,**
**ცისარტყელის ფერად-სხივი**
**ყელზე მძივად მოერგება.**
**მდინარე მეტყვის სიმღერას,**
**და ბანს კი მისცემს მთა-ბარი,**
**დამათრობს მისი ჰანგები,**
**არ არსებული, სხვაგვარი.**
**სილამაზის ფაქიზ რგოლში**
**სიტკბოების ძაფს ჩავქარგავ,**
**ამ სიმდიდრეს აუწონავს**
**მე და მხოლოდ მე განვკარგავ.**
**მოდი და ჩვენც წავიმღეროთ,**
**გული ამით გავიხაროთ,**
**ჩვენი წმინდა ხატების წინ**
**მოწიწებით დავიხაროთ.**

## გაზაფხული

**გაზაფხული მიყვარს ძლიერ,**
**ატმის კვირტი რომ იშლება,**
**ყვავილების თაიგულიც**
**ნაირფერად გადიშლება.**
**გაზაფხული მიყვარს ძლიერ,**
**შემპარავი სიო, გრილი,**
**დაწოლილი ტირიფები,**
**გადაბმული მათი ჩრდილი.**
**გაზაფხული მიყვარს ძლიერ,**
**ტყის პირები მუხიანი,**
**ქვემოთ წყალი მომდინარე,**
**მოსიმღერე და ხმიანი.**
**გაზაფხული მიყვარს ძლიერ,**
**წყაროს წყალი ცივ-ანკარა,**
**მზის სხივებზე მოლივლივე,**
**კრიალა და თავანკარა.**
**გაზაფხული ძლიერ მიყვარს,**
**ჩიტ-ჩიორა მოგალობე,**
**ლამაზ-ფერა, ლამაზ-ყელა,**
**შესკუპული მაღალ ღობეს.**
**როგორც ადრე, ისე ახლაც,**
**კიდევ მოვა გაზაფხული,**
**და ყოველთვის უნდა ვიყო**
**სილამაზით დაზაფრული.**
**გაზაფხულზე ზეცად ავალ,**
**უკვდავების ნიშან-სვეტად,**
**ამ ბუნებას, მის ნაწილად**
**რომ შევერწყა უფრო მეტად.**
**ვიკაშკაშებ, მრავალფერად,**
**ისე, როგორც ოქროს მძივი,**
**ჩემს ნათებას დაამშვენებს**
**მოტყორცნილი ჩემი სხივი.**

## ინფორმაცია

# სიღნაღში ტურიზმის განვითარების მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოიყოფა

**სიღნაღში ტურიზმის განვითარების მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოიყოფა. საკითხი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განიხილეს.**

**ეკონომიკის მინისტრმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა თანხის ზუსტი ოდენობა არ დაასახელა, თუმცა, ჟურნალისტებთან საუბარში განმარტა, რომ ეს პროექტი დიდბიუჯეტიანი არ იქნება.**

**– სიღნაღში ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ბევრი ინვესტიცია განხორციელდა, თუმცა ტურისტების რაოდენობის გაზრდის მიზნით დამატებითი ღონისძიებების გატარება იგეგმება. კერძოდ, შევიმუშავეთ კონკრეტული პროგრამა, რომლის განხორციელებაც აპრილში დაიწყება, – განაცხადა პოლოლიკაშვილმა.**

**მისივე განმარტებით, ამ პროექტის ფარგლებში ყოველი კვირის ბოლოს სიღნაღში ფესტივალები, გამოფენები და სხვადასხვა სახის ღონისძიება გაიმართება.**

ჯი-ეიჩ-ენი

ჩვენ

***ივანე ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში XX საუკუნის 60-იან წლებში დიდგვაროვანი ინგლისელი ლორდი, ფილოლოგი და ენათმეცნიერი სტივენ ლოიდი ინგლისური ენის კათედრაზე ქართველ პროფესორ-მასწავლებლებს ინგლისური ენის ლექცია-სემინარებს უკითხავდა. მან საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროცესში.*

*დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ლორდის სტივენ ლოიდის ვაჟიშვილი, ენათმეცნიერი და ასოცირებული პროფესორი ასევე **სტივენ ლოიდი** ამჟამად საქართველოში იმყოფება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთობის მამისეულ ტრადიციას აგრძელებს. ბატონი სტივენი ქველმოქმედებას ეწევა თბილისის უნივერსიტეტებსა და საჯარო სკოლებში. იგი სრულიად უსასყიდლოდ კითხულობს ლექცია-სემინარებს იაპონურ ენაში და სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავს პროფესორ-მასწავლებლებისა და მოსწავლე-სტუდენტების მიმართ.*

*სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ სტივენ ლოიდს ყოველმხრივ საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნის მისი არაკეთილმოსურნე საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების ზოგიერთი წევრი.*

*მოგითხრობთ ორი მამისა და ორი სამშობლოს მქონე ბრიტანულ-ქართული სიყვარულის ამბავს.*

# ამბავი ორი მამის და ორი სამშობლოს შვილისა



**— როგორც ვიცი, თქვენ და თქვენი და ქალბატონი ქეით ლოიდი, საქართველოში დაიბადეთ. როგორ აღმოჩნდა უფროსი სტივენ ლოიდი საქართველოში?**

— მამაჩემი სტივენ ლოიდი დაიბადა ინგლისში, ლონდონის ინტენსიური დაბომბვის დროს, 1940 წელს. ის ლინგვისტი გახლდათ და თავისი პროფესიიდან გამომდინარე, მივლინებით იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც მიწვეული იყო როგორც ენათმეცნიერი. ამ პერიოდში გაიცნო ქეთი ბაგრატიონი, რომლის ქართული არისტოკრატიული სილამაზით მოხიბლულმა მასზე დაქორწინება გადაწყვიტა. სტივენმა დაწვრილებით პირველად დედასგან გაიგო, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა – საქართველო, რომელიც მკვეთრად განსხვავდება რუსულისა და რუსეთისაგან. ის ძალიან დაინტერესდა საქართველოთი, ქართული ენით და აქ ჩამოსვლა გადაწყვიტა.

**— რატომ არ წაიყვანა თავისი საცოლე ინგლისში, აქ რატომ დასახლდნენ?**

— მამა დედისერთა შვილი იყო ოჯახში და მის მშობლებს უცხოელი რძალი არ უნდოდათ. მათ არაფერი სმენოდათ საქართველოს შესახებ, მხოლოდ ერთი ჯორჯია იცოდნენ ამერიკის შტატებში და სხვა ჯორჯიას არ ცნობდნენ. ისინი ქეთი ბაგრატიონს რუსს ეძახდნენ და ამ ქორწინების სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. სხვათა შორის, ჩემს მშობლებს არც საბჭოთა წყობილების მხრიდან ჰქონდათ თანხმობა. სამწუხაროდ, ჩემი ინგლისელი ბებია და ბაბუა ისე გარდაიცვალნენ, რომ დედასთან ურთიერთობა არ ჰქონიათ, რადგან სიცოცხლის ბოლომდე მათ წარმოდგენაში ქეთი ბაგრატიონი დარჩა როგორც ომისა და „ვოდკის“ მოყვარული რუსი.

**— ამდენი წინააღმდეგობის ფონზე, სად, როდის და როგორ მოახერხეს ქორწინების რეგისტრაცია სტივენმა და ქეთიმ?**

— დედა დაიბადა და ცხოვრობდა სამხრეთ ოსეთის ახალგორის(ყოფილი ლენინგორისძ რაიონში. ასე რომ, ჩემი მშობლები იქ დასახლდნენ და იქვე დაქორწინდნენ. მე და ჩემი და ქეითიც იქ დავიბადეთ და დაბადების ადგილად ახალგორი გვიწერია.

**— ასე ადვილად „აპატია“ მაშინდელმა სუკ-მა საბჭოთა გოგონას უცხოელზე გათხოვება?**

— მიუხედავად იმისა, რომ უცხოელთან ქორწინება აკრძალული იყო, ქორწინების აქტი მაინც შედგა, ხოლო ოფიციალური რეგისტრაციის უფლება მხოლოდ მაშინ მისცეს, როდესაც მათ ორი შვილი შეეძინათ – მე და ქეითი. სუკ-ს სტივენ ლოიდი ყოველთვის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა. იგი ისე შეავიწროვეს, რომ აიძულეს უშიშროების თანამშრომლებისთვის კვირაში ერთხელ მოეხსენებინა, თუ რას საქმიანობდა, რითი იყო დაკავებული და სხვა.

**— ანუ, აიძულეს ეთანამშრომლა სუკ-თან?**

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია და დედაც ადასტურებს, სტივენ ლოიდის ურთიერთობა სუკ-თან საკმაოდ გასაიდუმლოებული იყო და მას სასტიკად უკრძალავდნენ ამის შესახებ ოჯახში საუბარსაც კი.

**— საქართველოში რას საქმიანობდა ბატონი სტივენი?**

— გასული საუკუნის 60-იან წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია-სემინარებს უკითხავდა ინგლისური ენის კათედრაზე ქართველ პროფესორ-მასწავლებლებს. მიუხედავად იმისა, რომ მამას ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა კომუნისტური ხელისუფლება, საქართველოზე და ქართველ ქალზე შეყვარებულმა ინგლისელმა ლორდმა მაინც დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში. სხვათა შორის, ქართული მედია ხშირად იხსენებს დიდგვაროვან ინგლისელ ლორდ სტივენ ლოიდსა და მის ოჯახს და პატივს მიაგებს მის ხსოვნას. ასევე სიყვარულით საუბრობენ მასზე თსუ-ში მამას ყოფილი მოსწავლეები, მეგობრები და ნაცნობები, რომლებიც ახლა უკვე პროფესორები არიან.: დარეჯან(ჯანიკოძ სირია, ლია სვანიძე, თამარ ზარიძე, ლალი ჯოხაძე, მაია რუსია, ლია ფერაძე... მე ძალიან მამსგავსებენ მამას. ზოგი მათგანი, სამწუხაროდ, ჩვენს გვერდით აღარ არის, მაგრამ მათი სიყვარული და ხსოვნა დაუვიწყარი დარჩება ჩვენთვის: თინა თუშმალიშვილი, ჯული ბაქრაძე, ასმათ ხურცილაძე, მანანა არჩვაძე, ლეილა გამსახურდია, ქრიზანთემა კოპინაშვილი, ნელი ახვლედიანი, ბიძინა ლუტიძე, ნიკო ყიასაშვილი და სხვები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთში სტატიაც კი გამოქვეყნდა ასეთი სათაურით: **„თსუ დიდი სტივენ ლოიდის სახელს არასოდეს დაივიწყებს.“**

**— რა იყო მამათქვენის გარდაცვალების მიზეზი?**

— მამა 1971 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა, როცა სამშობლოში აპირებდა დაბრუნებას. ასე დარჩა ქეთი ბაგრატიონი ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად საქართველოში.

**— უფროსი სტივენ ლოიდის ავტოკატასტროფაში დაღუპვა ნამდვილად შემთხვევით მოხდა თუ ეს სუკ-ის მიერ დაგეგმილი ავარია იყო?**

— ამაზე ეჭვი გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზუსტი ინფორმაცია ვერ მოვიპოვე. დედას ვერსიით კი ავარია შემთხვევითი იყო.

**— შემდგომ როგორ წარიმართა ქალბატონი ქეთის ცხოვრება?**

— იგი მეორედ დაოჯახდა უკეთილშობილეს ადამიანზე ომარ სვანიძეზე, რომელმაც ობოლი ბავშვები-მე და ქეითი ოსეთიდან თბილისში ჩამოგვიყვანა და გვიშვილა. ადამიანს, რომელსაც მამად ვთლიდი, მამინაცვალი აღმოჩნდა. ამრიგად, როგორც ბრიტანულ-ქართული ფესვების მქონე, მშობლების შესახებ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთმა შემქმნა, მეორემ კი გამზარდა, ამიტომაც ორი მამა მყავს და ორივე მიყვარს ისევე როგორც სამშობლო, განსაკუთრებულად მაშინ ვამაყობ, როცა მე ქართველს მამსგავსებენ.

**— თქვენ თსუ-შიც სწავლობდით?**

— დიახ. მე დიდი სტივენის საპატივცემულოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ვსწავლობდი საიდანაც, როგორც წარჩინებული სტუდენტი, სწავლის გასაგრძელებლად ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში გამაგზავნეს. ჩემი სწავლა-განათლების მიღებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ოქსფორდის პროფესორს ბატონ მაიკლ ბერმენს, რომელიც თსუ-ში იყო მოწვეული. მე იმ დროს ერთ-ერთი უნივერსიტეტის ლექტორი ვიყავი და უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე ვმუშაობდი, სადაც ინგლისური ენის გრამატიკის კურსს ვკითხულობდი. ბრიტანეთშიც არაერთი სასწავლებელი დავამთავრე.

**— რა ასაკში გიშვილათ მამინაცვალმა და რატომ გიმალავდათ ამ ფაქტს.**

— ომარმა თვის ასაკში ამიყვანა. მას საკუთარი შვილივით ძალიან ვუყვარდი და ყოველთვის შიშობდა, რომ ბრიტანეთში არ წავსულიყავი, თუნდაც ჟორის დონეზეც კი რაიმე არ გამეგო, მაგრამ როგორც მამობილი ამბობს: **„სამწუხაროდ, უმცროსი სტივენ ლოიდის ძარღვებში თავისი ბიოლოგიური მამის ინგლისური სისხლი ჩქეფდა, მის სულში ბრიტანული ხასიათისა და თვისებების მქონე ვეებერთელა ტალღები ღელავდა და პატარა ბიჭს ინგლისისაკენ იზიდავდა“** – და თვალცრემლიანი დარდიანად ამოიოხრებს ხოლმე. მას შემდეგ, რაც ეს საიდუმლო გამჟღავნდა, ჩვენი ურთიერთსიყვარული და პატივისცემა მამობილისადმი გაორმაგდა, კიდევ უფრო გაძლიერდა. უფრო მეტიც, გაოცებული ვარ ამ კაცის სულგრძელობით, რადგან მან იმდენად ძლიერ შეიყვარა და გაითავისა სხვისი შვილები, რომ ალბათ ბევრ ნამდვილ მამას არ ძალუძს. ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ის გულნატკენიცაა ყოველივე ამის გამო და ახლა უკვე ხშირად იხსენებს ერთ-ერთ ასეთ ფაქტს. მე თურმე რვა თვის ვიყავი, როდესაც მან სრულიად შიშველი პირველად ამიყვანა ხელში, თავის მკლავებში ჩამაწვინა, იმ ადგილას მაკოცა, სადაც ვაჟებს კოცნიან ხოლმე მამები, ზეცას გაუწოდა მკლავებში ჩაწვენილი და მოლულღულე ჩვილი, ღმერთს მადლობა შესწირა ვაჟი რომ მიჰგვარა და ორივე ხელით მკერდზე მიიკრა.

**— ცნობილია, რომ მამათქვენი გარდაიცვალა თქვენი დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. რა გაარკვიეთ მამათქვენის შესახებ და გაქვთ თუ არა ურთიერთობა თქვენი გვარის წარმომადგენლებთან?**

— ცხადია, დიდგვაროვანი ინგლისელი ლორდის სტივენ ლოიდის შესახებ მასალები და დოკუმენტები მოვიძიეთ და მისი ტიტულის ზუსტი ინფორმაცია აღმოვაჩინეთ. შევხვდით ბევრ ადამიანს, რომელიც მამას ძალიან ახლოს იცნობდა და მასთან მეგობრობდა, ზოგს გაგონილი ჰქონდა ბევრი რამ მის შესახებ, ზოგს მისი გარდაცვალებაც კი ახსოვს. ლოიდი საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული გვარია ინგლისში და ბევრი მათგანი ჩემი მეგობარია. შემოქმედებითი საქმიანობის გამო მეგობრები ზედმეტსახელად „დოქტორ ჯონსონს“ მიწოდებენ და ასეთ შეფასებას მაძლევენ: **„მისი თხოვნა ბრძანებაა, ხოლო მისი აზრი – უდავო ჭეშმარიტება“** (იცინისძ.

**— ბატონო სტივენ, ისე, ძალიან საინტერესო „ეროვნული ნაზავი“ ხართ: მამა ინგლისელი, დედა ქართველი, ბებია ოსი. როგორ ფიქრობთ, მენტალიტეტით უფრო ქართველი ხართ თუ ინგლისელი?**

— რა თქმა უნდა, მენტალიტეტითაც და ბუნებითაც ქართველი ვარ. დიდ ილიას დავესესხები: „თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეულლებული...“ თუმცა ძალიან მეამაყება, რომ ჩვეულებრივი ინგლისელებისაგან განსხვავებით, არაჩვეულებრივი ინგლისელი ვარ – ჩემებური ინგლისელი, რომელიც დაიბადა ულამაზეს და უსაყვარლეს ქვეყანაში საქართველოში, რადგან ჩემს ძარღვებში ინგლისური სისხლი ჩქეფს, ხოლო ჩემს გულში ქართული ტრადიციული სული ბობოქრობს. მე ხომ ქართველიც ვარ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ როდესაც ბავშვი იბადება, ის დედის ენაზე ტირისო, რომ დავიბადე – მეც ქართულად ვტიროდი (იცინისძ.

**— თქვენი დის ქეით ლოიდის შესახებ რას გვეტყოდით?**

— ჩემი დაც პროფესიით იურისტია და საქართველოში გათხოვდა, ქალაქ გორში სტალინის შთამომავალზე მირიან ჯუღაშვილზე. მათ ორი შვილი შეეძინათ: იოსები და თეკლა ჯუღაშვილები. მათ წარჩინებით დაამთავრეს თბილისის საჯარო სკოლა და ვერცხლის მედალოსნები გახდნენ. თეკლამ და იოსებმა დიდი სტივენის საპატივცემულოდ ჯერ ჩემს საამაყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა ისწავლონ, სადაც ოდესღაც მათი ინგლისელი ბაბუა, დიდგვაროვანი ლორდი მოღვაწეობდა და შემდეგ ინგლისში სწავლასაც გააგრძელებენ. ამრიგად, სტალინის შთამომავლები იოსებ და თეკლა ჯუღაშვილები დედით დიდი ინგლისელი ლორდის სტივენ ჰენრის ძე ლოიდის შვილიშვილები არიან.

**— თქვენ უცოლო ბრძანდებით. რატომ, ჯერ ნამდვილი გრძნობა არ გწვევიათ, ვერ მოიცალეთ თუ ინგლისში გაქვთ გადაწყვეტილი ოჯახის შექმნა?**

— მართალია, დაქორწინებული არ ვარ, რადგან სწავლის გამო „ვერ მოვიცალე“, თუმცა ცოტა უცნაურია, სიყვარულისთვის ვერ მოიცალო, მაგრამ როგორც კი სასურველ გოგონას გავიცნობ, აუცილებლად ვიქორწინებ და ქართულ ტრადიციულ და სტუმართმოყვარე ოჯახს მეც შევქმნი.

**— ბატონო სტივენ, მართალია, რომ თქვენ გარკვეული პრობლემებიც გექმნებათ საქართველოში თქვენი მოღვაწეობის გამო?**

— დიახ. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მე ყოველმხრივ საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს მიქმნიან ჩემი არაკეთილმოსურნე ხელისუფლებისა და საზოგადოების წევრები. ადამიანი საზოგადოებაში ფასდება მისი პირადი უნარით, ნიჭითა და შრომისმოყვარეობით და არა მშობლების დამსახურებითა და მათი თანამდებობებით. მე არასოდეს მეშინია დასჯის, მე ყოველთვის მეშინია დარდის, დარდის იმ ორი სამშობლოსი, რომელსაც საქართველო და ბრიტანეთი ჰქვია. ჩემს შესახებ ძალიან ბევრი ჭორიც კი გამოიგონეს. მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავია ის, რომ მე თურმე ვარ ყველაზე მდაბიო ოჯახში გაზრდილი, ყველაზე უვიცი, გაუნათლებელი, საზოგადოებისთვის მიუღებელი ყოფაქცევის, ყალთაბანდი (აფერისტიძ, თაღლითი და სხვა. უმრავლესობის აზრით, თურმე მსოფლიო მნიშვნელობის ორგანიზაციები მაფინანსებენ და საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც მიხდიან. მე მაინც ამჯერად თავს შევიკავებ ასეთ საზოგადოებაზე საუბრისგან, ღმერთმა მიუტევოს ყველას, ვისაც **„ეგევითარი გონებაი უპყრიეს“**. თუმცაღა მათ გვერდით არსებობს სამართლიანი საზოგადოებაც...

**მურად ალაშვილი.**

ავტორის ფოტო

## დედამიწის ზურგზე



**ავღანეთის პარლამენტარები ამზადებენ მოთხოვნას რუსეთისადმი, გადაიხადოს 10 წლის საბჭოთა ოკუპაციისთვის**

ასევე ავღანეთის ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელი კომისია უკვე ადგენს მსხვერპლისა და სამხედრო დანაშაულებათა სიას, რაც ქვეყანაში მოხდა 1979 წლის შეჭრის შემდეგ. ამავე დროს თავად რუსეთმა, როგორც კრედიტორების პარიზის კლუბის წევრმა, ამ დღეებში განაცხადა ავღანეთის მრავალმილიარდიანი დოლარის ვალის ჩამოწერის შესახებ.

* * *

**ევროკავშირი გამოააშკარავეს წამების იარაღის ექსპორტში მთელ მსოფლიოში**

წინა დღით ევროპარლამენტმა განიხილა სამართალდაცვის ორგანიზაციების მოხსენება, რომლის თანახმადაც ევროკავშირის მხოლოდ შვიდი წევრი ქვეყანა იცავს 2006 წლის ნორმატიულ აქტებს იმ მოწყობილობის საერთაშორისო ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, რომელიც პოტენციურად წამებისთვისაა გათვალისწინებული. განსაკუთრებით ფართოდაა ამ საქონლის ექსპორტი გერმანიასა და ჩეხეთში.

* * *



**ამერიკული კომპანია ორწლინახევრის განმავლობაში გადასცემდა აშშ-ის სამხედრო საიდუმლოებას რუსეთსა და ჩინეთში**

ფირმა „როკი მუნტაინმა“ დაახლოებით მილიონი დოლარი გამოიმუშავა მზა ტექნიკური პროდუქციისა და ინფორმაციის უცხოეთში გადაცემით, რაზეც აუცილებელი იყო ფედერალური ხელისუფლების ნებართვა. ეტყობა, საკითხი შეეხება ტექნოლოგიებს რაკეტების სისტემისთვის.

* * *

**მონრეალში უცნობმა პირებმა სავაჭრო ცენტრის მისამართით გახსნეს ცეცხლი: 2 კაცი დაიღუპა**

ერთ-ერთი დაღუპული – ქალია, კიდევ ორი კაცი დაჭრილი. დამნაშავეები მიიმალნენ, დანაშაულის ადგილზე კი დატოვეს ნიღბები. ერთ-ერთი ვერსიით ეს იყო კრიმინალური გარჩევა. რაიონი, სადაც სროლა მოხდა, ტურისტებისთვის პოპულარული ადგილია.

* * *

**ისრაელმა ღაზის სექტორს მიაყენა საპასუხო დარტყმები**

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა სამი დარტყმა მიაყენეს ღაზისა და ეგვიპტის სექტორებს შორის მიწისქვეშა გვირაბებს, ორი კაცი დაიჭრა. დარტყმის სხვა მიზნები იყო სამსხმელი სახელოსნო ღაზის მახლობლად და ორი მონაკვეთი ქალაქ ხან იუნისის რაიონში. წინა დღით ისრაელს გაუხსნეს ცეცხლი ღაზის სექტორიდან, დაიღუპა ერთი მუშა.



დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

იმისთვის, რომ გაეწია სამსახური ანტანტისთვის, რაკოვსკი ყველაფერს აკეთებდა, რათა ჩაეშალა საბჭოთა კავშირ-გერმანიის დაახლოება. სწორედ მან შეწყვიტა მოლაპარაკება რსფს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის, როდესაც ეს მოლაპარაკება შეეხებოდა რაპალის ხელშეკრულების მოქმედებათა გავრცელებას უკრაინასა და ამიერკავკასიაში. უკრაინის სსრ დელეგაციამ, რომელსაც რაკოვსკი ედგა სათავეში, მოსთხოვა გერმანელებს გადაეხდა უკრაინას 400 მილიონი მარკა ოკუპაციის შედეგად მიყენებული ზარალის გამო. და ეს მაშინ, როდესაც ურთიერთპრეტენზიები ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად იქნა მოხსნილი ყველა მხარის მიერ რაპალის ხელშეკრულების დადების დროს.

20-იანი წლების დასაწყისში რაკოვსკი საფრანგეთთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რათა საფრანგეთის კაპიტალს შეესრულებინა იგივე როლი, როგორც 1917 წლამდე იყო, ესე იგი ჰქონდა ბევრი ხელმძღვანელი პოზიცია. ის ოფიციალურად აყენებდა წინადადებას – აღედგინა კრივოი როგში მადნის მოპოვების უდიდესი ფრანგული ანონიმური საზოგადოების საქმიანობა. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ცნება „კონცესიას“ ანიჭებდა ყველაზე ვრცელ განმარტებას, მიაჩნდა, რომ ყველა ყოფილ უცხოელ მფლობელს კვლავ შეუძლია მართოს „თავიანთი“ საწარმოები. „რეალურ გეგმაში“ უკვე იყო ინგლის-უკრაინის კომერციული ბანკის შექმნის პროექტის რეალიზაცია, და „წითელი თვითაწავნის“ აპოლოგეტი გახლდათ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის ივნისის დადგენილება, რომელიც თანახმადაც უცხოეთის კომპანიებს შეეძლოთ გაეხსნათ თავიანთი ფილიალები უკრაინაში, მხოლოდ მისი ხელისუფლების ნებართვით. მოსკოვში დადებული ყველა კომერციული ხელშეკრულება უქმდებოდა.

მაგრამ ამ კრემლის მოთხოვნების ფილაავისო და ერთი თვის შემდეგ უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება გააუქმეს. საბოლოოდ კი რაკოვსკის სეპარატისტულ უმისწრაფებას წერტილი დაუსვა გენერალურმა მდივანმა სტალინმა, რომელმაც მიაღწია „მოუთოკავი“ ტროცკისტის გადაყენებას.

ამ დროს თავად რაკოვსკი არ ყოფილა უკრაინული წარმომავლობისა და არც უჭერდა მხარს უკრაინულ ნაციონალიზმის იდეას. აი მისთვის ტროცკის მიერ მიცემული საჩვენებელი დახასიათება: „ერთ-ერთი ყველაზე ინტერნაციონალური ფიგურა ევროპულ მოძრაობაში... რაკოვსკი სხვადასხვა დროს აქტიურად მონაწილეობდა ოთხი სოციალისტური პარტიის – ბულგარეთის, რუსეთის, საფრანგეთისა და რუმინეთის – საქმიანო ცხოვრებაში...“ რაკოვსკი, ტროცკის დასავლეთის სულისკვეთების შესაბამისად, დასავლეთთან შეერთებაში, უწინარეს ყოვლისა, ხედავდა „მსოფლიოში ყველაზე მოწინავე“ დასავლურ პროლეტარიატთან გაერთიანების შესაძლებლობას, ურომლისოდაც მსოფლიო რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა. და მას დიდად არ აღელვებდა, რომ ასეთი დაახლოება თიშავდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირიდან (რსფს რესპუბლიკის მეთაურობით) უმნიშვნელოვანესს, ყველა თვალსაზრისით, რესპუბლიკას, მაშასადამე, ძლიერ ასუსტებდა საბჭოთა რუსეთს. რუსეთი ტროცკისტებისთვის ყოველთვის იყო სულ რაღაც ფიჩხის კონა, რომელიც უნდა ჩააგდო მსოფლიო რევოლუციის კოცონში.

დამახასიათებელია, რომ რაკოვსკი თავის რადიკალურ მედასავლურობას უხამებდა არანაკლებ რადიკალურ მემარცხენეობას. სამოქალაქო ომის დროს ის უკრაინაში დიდი ძალისხმევით ნერგავდა კომუნებსა და საბჭოთა მეურნეობებს (მარტო 1919 წელს მან მოაწყო 1655 ერთობლივი მეურნეობა), რისთვისაც მას მკაცრად აკრიტიკებდა ლენინი. 1920 წელს, „კულაკურ ბანდიტიზმთან“ ბრძოლის საბაბით, ეს მგზნებარე რევოლუციონერი მარჯვნივ და მარცხნივ იძლეოდა განკარგულებებს – აეყვანათ მძევლები, გაენადგურებინათ ხუტორები და სოფლები, რომლებიც ბანდიტურ ფორმირებათა „კერები“ იყვნენ. სწორედ რაკოვსკიმ „გააბედნიერა“ უკრაინა ეგრეთ წოდებული „შეუძლებელ სოფლელთა კომიტეტების“ შექმნით, რომლებიც რუსული ღარიბთა კომიტეტების ანალოგი იყვნენ. მაგრამ თუ რუსეთის რესპუბლიკაში ღარიბთა კომიტეტები, ფაქტობრივად, 1918 წლის შემოდგომაზე დაიშალა, უკრაინაში იმათ, როგორც ორგანოებმა, იარსებეს 1925 წლამდე, საბოლოოდ კი გააუქმეს მხოლოდ 1933 წელს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-51.

### წითელი დასავლურობა როგორც ფენომენი

როდესაც XX საუკუნის პოლიტიკურ ისტორიას სწავლობ, უსათუოდ მიდიხარ იმ აზრამდე, რომ მემარცხენე ექსტრემიზმი განწირულია ევოლუციონირებისთვის დასავლური ლიბერალიზმის მხარეს. ამას გასაოცრად ადასტურებს ტროცკის მაგალითიც და ბუხარინის მაგალითიც. უკანასკნელი 1918 წელს იყო უკიდურესი მემარცხენე, 20-იან წლებში კი გადაიქცა საბაზრო ურთიერთობათა განვითარების მომხრედ. თანაც ამგვარი ევოლუციის კანონზომიერებას ადასტურებს არა მხოლოდ სამამულო გამოცდილება, არამედ უცხოეთის კომპარტიების მაგალითიც. მაგალითად, იუგოსლავიის კომპარტიის ლიდერმა იოსიპ ბროზ ტიტომ სტალინთან თავისი დაპირისპირება დაიწყო სწორედ „ლენინიზმისკენ“ დაბრუნების პოზიციიდან. იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე 1948 წლის 1 მარტს სავსებით ტროცკისტული სულისკვეთებით იყო საუბარი სსრ კავშირის გადაგვარების შესახებ და ამტკიცებდნენ, რომ: „... რუსული ტრადიციების აღდგენა – ეს დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინებაა. მოსკოვის 800 წლის დღესასწაული ასახავს ამ ხაზს... თავს გვახვევენ მხოლოდ რუსულს ცხოვრების ყველა სფეროში... სსრ კავშირის პოლიტიკა – ეს არის დაბრკოლება საერთაშორისო გზაზე...“ უფრო მოგვიანებით, საბჭოთა კავშირთან საბოლოო გათიშვის შემდეგ, ტიტოელები წავლენ ლიბერალურ-საბაზრო ფორმებზე და დაიწყებენ დასავლეთთან თანამშრომლობას, თავდაპირველად კი ყველაფერი სტალინის დიდმპყრობელობისა და „ეროვნული შეზღუდულობის“ კრიტიკით დაიწყო („შეზღუდულობით“, რომელმაც რუსეთი კოსმოსურ სახელმწიფოდ აქცია).




დამახასიათებელია კიდევ ერთი მემარცხენე ექსტრემისტის, „კულტურული რევოლუციის“ შემოქმედის მაო ძედუნის მაგალითი, ვის ექსცესებსაც ვერ გაუტოლდებიან სტალინიზმისა და ჰიტლერიზმის საშინელებანი ერთად აღებული. ხანგრძლივი საუბრების შემდეგ ბირთვული ომის სარგებლობის შესახებ მსოფლიო რევოლუციისთვის, როდესაც „გამოააშკარავა“ სსრ კავშირი კონტრრევოლუციურობაში და საიქიოს გაისტუმრა ათეულობით მილიონი ჩინელი, მაო 70-იანი წლების დასაწყისში წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ კავშირზე, რომელიც ჩაიშალა მხოლოდ მისი გარდაცვალების, მემარცხენე „ოთხთა ბანდის“ და ხელისუფლების სათავეში პრაგმატიკოსი დენ სიაოპინის მოსვლის შემდეგ.

ეს ყველაფერი შემთხვევითი როდია – რ-რ-რევოლუციური ციებ-ცხელება და მემარცხენეობა ისევე მავნებელია, როგორც ლიბერალურ-საბაზრო ექსპერიმენტები. მემარცხენეებისგან, ალბათ, გამოვა ლიბერალი ან დასავლეთის სპეციალური სამსახურების აგენტი, ვინაიდან ყველა ჯურის „ტროცკისტებსა“ და „კაპიტალისტებს“ აერთიანებს ხაზგასმული ზიზღი ტრადიციული ღირებულებებისა და ეროვნული თვითმყოფადობისადმი.

სამწუხაროდ, სტალინის სიკვდილმა ხელი შეუშალა უტოპიზმის, მარქსისტული მოძღვრების კოსმოპოლიტიზმისა და ექსტრემიზმის ბოლომდე აღმოფხვრას, რომლებმაც თავიანთი შხამიანი ნაყოფი გამოიღეს 50-80-იან წლებში. ყოფილი ტროცკისტის ხრუშჩოვის მემარცხენე ექსტრემიზმი (რომელსაც თან ახლდა ეროვნულ-პატრიოტული პროპაგანდის დამთავრება და ეკლესიების დევნის ახალი ტალღაძ იყო, არსებითად, „მსოფლიო რევოლუციის სინდრომის“ ახალი გამოვლინება. სწრაფ პოლიტიკურ შეტევას დასავლეთზე, რამაც ლამის მსოფლიო ომამდე მიგვიყვანა, თან ახლდა მასთანვე ლაქუცი და მისივე ცივილიზებულ მიზანდასახულობათა სესხება. ღორძინდებოდა ტროცკის „ძველ კეთილ“ ქცევათა მოდელი, რომელიც პარადოქსულად ეხამებოდა ანტიდასავლურ რევოლუციურობასა და დასავლურობას. მაგრამ, თავიანთი წინამორბედებისგან განსხვავებით, საბჭოთა ნეოტროცკისტებმა მაინც გაიმარჯვეს. ხრუშჩოვიზმი, რომელიც დროებით შეჩერდა ბრეჟნევული ფრთხილი მეცნიერ პარტაპარატისტების მიერ, აღორძინდა გორბაჩოვის დროს. მაშინ დაიწყო საუბრები „ლენინურ სოციალიზმზე“, იმის შესახებ, რომ „რევოლუცია გრძელდება“. მოხდა ტროცკის რეაბილიტაცია და ასე შემდეგ. თუმცა ყველაფერი დამთავრდა რუსეთში ყველაზე ველური და პროდასავლური კაპიტალიზმის ზეიმით. ტროცკისაც ხომ დაახლოებით ეს უნდოდა.

ტროცკის შეგნება ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული დასავლეთის, მისი სამეცნიერო-სამრეწველო ძლიერების წინაშე ქედმოხრის საფუძველზე. „ტროცკი ქედუხრელი მედასავლეთე იყო, – აღნიშნავს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ბ.მეჟუევი. – მისთვის პროლეტარული რევოლუცია ქალაქის სოფელზე, მეცნიერების რაციონალიზმის – გრძნობების სტიქიურობაზე (გავიხსენოთ ყველაფერი, რაც ჩვენთვის გახდა ცნობილი უკანასკნელ ხანებში, ძირითადად ალექსანდრ ეტკინდის პოპულარული გამოკვლევების წყალობით, ტროცკის ფსიქოანალიზით, როგორც ადამიანურ ვნებათა გაუკონტროლებელი შეგნების იარაღით, გატაცების შესახებძ, საბოლოო ანგარიშში კი – მსოფლიო ქალაქისა – მსოფლიო სოფელზე, დასავლეთის – აღმოსავლეთზე საბოლოო გამარჯვების შეგრძნება წარმოადგენდა“ („ბოლშევიზმის ჩახუტებაში“ძ.

ტროცკის შეგნების ვესტერნიზაციამ ძლიერი სტიმული მისცა მის ფიქრებს მარქსიზმის დოგმებზე. მარქსსა და ენგელსს არ მიაჩნდათ შესაძლებლად პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება გლეხურ ქვეყნებში, რომლებიც არ იყვნენ სათანადოდ განვითარებული მრეწველობის თვალსაზრისით. გამარჯვებისთვის აუცილებელია ძლიერი სამრეწველო პროლეტარიატის არსებობა, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას უნდა შეადგენდეს. რუსეთში ასეთი პროლეტარიატი არ ყოფილა, სამაგიეროდ იქ იყო ძლიერი სოციალისტური მოძრაობა. ამიტომ საჭირო იყო მდგომარეობიდან როგორმე გამოსვლა, მისი შეთავსება მარქსის ორთოდოქსიის მოთხოვნებთან. მენშევიკებმა გამოაცხადეს, რომ პროლეტარიატი და მარქსისტები უნდა წავიდნენ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კავშირზე და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მას რუსეთის კაპიტალიზაციის საქმეში. აი სწორედ ის მიიყვანს საქმეს პროლეტარულ რევოლუციამდე. ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ პროლეტარული რევოლუცია ქვეყანაში შესაძლებელია, მაგრამ პროლეტარიატმა იგი უნდა მოახდინოს გლეხობასთან კავშირში. ტროცკის კი ეკავა სპეციფიური პოზიცია, რომელსაც მეჟუევი ასეთ რეზიუმეს უკეთებს: „პროლეტარული რევოლუცია გლეხურ ქვეყანაში უნდა ემყარებოდეს იმ „მოწინავე ქვეყნების“ პროლეტარიატის მხარდაჭერას, სადაც, რუსეთისგან განსხვავებით, არსებობს ყველა პირობა სოციალიზმისთვის... პროლეტარული რევოლუცია ჩამორჩენილ, არაბურჟუაზიულ ქვეყნებში უნდა გადაიზარდოს ინტერნაციონალურ რევოლუციაში... ტროცკის მიხედვით, პერიფერია ახდენს ცენტრის რევოლუციონიზებას. მაგრამ ამავე დროს ადრინდელი იერარქიული დამოკიდებულება მასსა და პერიფერიას შორის შენარჩუნებული უნდა იყოს და განმტკიცდეს კიდეც – ცენტრი მსოფლიო რევოლუციის პროცესში აღიდგენს თავის დომინირებულ მდგომარეობას“.

ტროცკის არ სჯეროდა, რომ რუსეთს შეუძლია თავად ააშენოს სოციალიზმი, ანდა თუნდაც სერიოზულად განავითაროს თავისი მეურნეობა. „საკუთარი თავის, როგორც სახელმწიფოს დაცვით პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, – წერდა ის 1922 წელს, – ჩვენ ვერ მივედით სოციალისტურ საზოგადოებასთან და ვერც კი მივუახლოვდით მას. ბრძოლამ რევოლუციურ-სახელმწიფოებრივი თვითგადარჩენისთვის გამოიწვია ამ პერიოდისთვის საწარმოო ძალების საგანგებო შემცირება; სოციალიზმს კი ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მათი ზრდისა და აყვავების საფუძველზე... რუსეთში სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ ევროპის დიდმნიშვნელოვან ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ“ („მსოფლიოს პროგრამა“ძ.

ტროცკის გული დასავლეთს ეკუთვნოდა, განსაკუთრებით – ამერიკის შეერთებულ შტატებს, ვის სპეციალურ სამსახურებთანაც ის თანამშრომლობდა თავისი ცხოვრების ბოლო წლებში. ჯერ კიდევ 1917 წლის მოვლენებამდე „რევოლუციის დემონი“ წინასწარმეტყველებდა მის სამეურნეო და კულტურულ დომინირებას მთელს მსოფლიოში. აი ნაწყვეტი მისი მოგონებებიდან „ამერიკის აღმოჩენის“ შესახებ 1916 წელს: „აღმოვჩნდი ნიუ-იორკში, კაპიტალისტური ავტომატიზმის ზღაპრულ-პროზაულ ქალაქში, სადაც ქუჩებში ზეიმობს კუბიზმის ესთეტიკური თეორია, გულებში კი – დოლარის ზნეობრივი ფილოსოფია. ნიუ-იორკმა მომხიბლა, ვინაიდან იგი სავსებით წარმოსახავს თანამედროვე ეპოქის სულისკვეთებას“.

და უნდა ითქვას, რომ დასავლეთსაც ხიბლავდა ტროცკი. მათ შორის – ზოგიერთ დასავლელ კაპიტალისტს. საერთოდ, რამდენადაც ეს უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს, დასავლეთში ბევრ საქმიან წრეს დიდად აინტერესებდა რევოლუციური მოძრაობის განვითარება. მარქსისტები დარწმუნებული იყვნენ როგორც ერების, ისე სახელმწიფოების გაქრობის აუცილებლობასა და გარდუვალობაში. ამიტომ ისინი თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განსხვავების მოშლას, რაც ხელს აძლევს ტრანსნაციონალურ კაპიტალს. თანაც რევოლუციაზე ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება კარგად მოითბო ხელი, თუ გამოიყენებ კავშირებს თავად რევოლუციონერებს შორის.

აქ კი მეტად დროულია გავიხსენოთ ტროცკის თანამშრომლობა პარვუსთან, ვის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა. წარმატებულმა მეხორბლე მაგნატმა და რუსეთის ძლიერმა მოძულე პარვუსმა დიდი გავლენა მოახდინა ტროცკის პოლიტიკური თვალსაზრისის ჩამოყალიბებაზე. სწორედ მისგან აიღო ამ უკანასკნელმა „პერმანენტული რევოლუციის“ იდეა. ერთი მეორეს სულაც არ უშლიდა ხელს. მაგალითად, „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნის პროგრესული მოთხოვნა, რომელსაც დაჟინებით აყენებდა ტროცკი, ძალიან შეესაბამებოდა ხორბლის მოვაჭრეთა ინტერესებს, ხელს უწყობდა საბაჟო ბარიერების ჩამოშორებას. „საბაჟო ბარიერები დაბრკოლებად იქცა ხალხთა კულტურული გაერთიანების ისტორიული პროცესებისთვის, – წერდა პარვუსი. – მათ გააძლიერეს სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური კონფლიქტები“.

(გაგრძელება იქნება)

**ევროპის თასი**

## ეპიცენტრმა ტრაბზონში გადაინაცვლა



**დღეს ტრაბზონში „აქჩააბათის“ სტადიონზე მორაგბეთა ევროპის ერთა თასის გათამაშების მეტად პრინციპული მატჩი გაიმართება – ერთმანეთს საქართველოს და რუსეთის ეროვნული ნაკრები გუნდები დაუპირისპირდებიან. ამ ორი ქვეყნის წარმომადგენელთა პაექრობები ყოველთვის დაძაბული და საინტერესო იყო. გამონაკლისი არც დღევანდელი ორთაბრძოლა იქნება, მით უმეტეს, რომ ორივე გუნდს მსოფლიოს თასის დასკვნითი ეტაპის საგზური განაღდებული აქვს და, ამდენად, ფსიქოლოგიური წნეხი არ შეაწუხებთ.**

როგორც საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემაც აღნიშნა, შეხვედრა წმინდა სპორტულ ხასიათს ატარებს და მეტოქეში მტრის ხატი არ უნდა დავინახოთ. 2008 წლის აგვისტოს ცხელ დღეებში სწორედ რუსი მორაგბეები შეეხმიანენ ჩვენებს, რა გიჭირთ, რით დაგეხმაროთო, მაშინ, როცა ასეთი პრინციპული ასპარეზობის წინ თანამემამულეებმა რაგბის კავშირის ოფისი გაძარცვეს. მართალია, ავაზაკებს ეროვნება და სამშობლო არა აქვთ, მაგრამ იმ ფაქტს მაინც ვერსად გავექცევით, რომ ეს ავკაცობა ჩვენებურთა ნამოქმედარია.

***და ისევ მატჩის შესახებ:*** *ბორჯღალოსნები დღეს ჩრდილოელი მეზობლების წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშებენ: მალხაზ ურჯუკაშვილი, ალექსანდრე თოდუა, დავით კაჭარავა, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი მაჩხანელი, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, დავით ხინჩაგაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, დავით ზირაქაშვილი, ლევან დათუნაშვილი, ილია ზედგენიძე, გია ლაბაძე, გიორგი ჩხაიძე, ბესო უდესიანი, გოდერძი შველიძე, ანტონ ფეიქრიშვილი, გიორგი ნემსაძე, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი ჩხიკვაძე და ლაშა მალაღურაძე.*

**ჩემპიონთა ლიგა**

## წილი ნაყარია

**გუშინ შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში მოეწყო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთა წილისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა (მატჩები 30-31 მარტსა და 7-8 აპრილს გაიმართება):**

1. **„ლიონი“ – „ბორდო“,**
2. **„ბაიერნი“ – „მანჩესტერი“,**
3. **„არსენალი“ – „ბარსელონა“,**
4. **„ინტერი“ – ცსკა.**

**ნახევარფინალში 21-22 და 28-29 აპრილს ერთმანეთს 2-1 და 4-3 წყვილებში გამარჯვებულნი შეხვდებიან.**

**შეგახსენებთ, რომ ფინალს 22 მაისს მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონი უმასპინძლებს.**

**ფეხბურთი**

## ევროპის ლიგის ვნებანი



**გოლების წვიმა (8 შეხვედრაში 34 ბურთი გავიდა), დამატებითი დრო („ვოლფსბურგი“ – „რუბინი“), ჰეთ-ტრიკი (ვილია), დუბლები (ტორესი, აგერო) და მსუყე სენსაცია („ფულჰემმა“ ტურინის „იუვენტუსს“ ორბურთიანი ჩამორჩენა ამოუქაჩა და მეოთხედფინალს მიღმა დატოვა) – ასეთია ევროპის ლიგის საპასუხო მერვედფინალური რაუნდის ძირითადი ეპიზოდები.**

ჩვენთვის საინტერესო კიდევ ის მოხდა, რომ გათამაშებას ყაზანელთა მცველების ლაშა სალუქვაძისა (იგი მინდორზე შემცვლელად შევიდა) და დავით კვირკველიას სახით უკანასკნელი ქართველი ლეგიონერები გამოეთიშნენ.

**გაუწყებთ ოთხშაბათის ბატალიების სრულ შედეგებს:**

**„ლივერპული“** – „ლილი“ 3:0 (0:1),

„სპორტინგი“ – **„ატლეტიკო“** 2:2 (0:0),

„მარსელი“ – **„ბენფიკა“** 1:2 (1:1),

**„ვოლფსბურგი“** – „რუბინი“ 2:1 (1:1, დ.დ.),

**„ფულჰემი“** – „იუვენტუსი“ 4:1 (1:3),

„ანდერლეხტი“ – **„ჰამბურგი“** 4:3 (1:3),

**„სტანდარდი“** – „პანათინაიკოსი“ 1:0 (3:1),

„ვერდერი – **„ვალენსია“** 4:4 (1:1).

**რაგბი**

## კანიდან – იტალიაში



საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრები (სანდრო ქოიავა, ხვიჩა ბუჯიაშვილი, ელგუჯა სურგულაძე, ბექა არაბიძე, საბა ბერაძე, გიორგი ლომთაძე, გიორგი თეთრაშვილი, გურამ შენგელი, ნოდარ მარდალეიშვილი, გიორგი ქოჩიაშვილი, ბექა ჭიპაშვილი, ბექა მამრიკიშვილი, ზაზა ნავროზაშვილი, დავით ხიდეშელი, თორნიკე ჯიბლაძე, ლაშა ლომიძე, ზურაბ ძნელაძე, გიორგი ზიბზიბაძე, გიორგი მისრიაშვილი, გიგა გაგოშვილი, ლევან გოგოლაშვილი, ვაჟა ხუციშვილი, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, გოდერძი ჭინჭარაული, ბახვა კობახიძე, დაჩი კოპაძე) ლევან მგელაძის ხელმძღვანელობით საფრანგეთის ქალაქ კანში გაემგზავრა, სადაც 25 მარტამდე საწვრთნელ შეკრებას გაივლის, იქიდან კი იტალიაში გადაინაცვლებს და ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში 28 მარტს რუმინეთს დაუპირისპირდება. იმავე დღეს A დივიზიონის დანარჩენი სამი მეოთხედფინალური ორთაბრძოლაც გაიმართება: საფრანგეთი – იტალია, ირლანდია – გერმანია, ბელგია – რუსეთი. წარმატების შემთხვევაში ჩვენები 31 მარტს ნახევარფინალში ირლანდია- გერმანიას შორის გამარჯვებულს შეხვდებიან. ფინალი 3 აპრილსაა დანიშნული.

**ჭადრაკი**

## ბაადურ ჯობავა „ვერცხლით“ ბრუნდება

**გალელმა დიდოსტატმა ბაადურ ჯობავამ შარშან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, წლეულს კი სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით დაწინაურდა.** ხორვატულ რიეკაში თერთმეტი შესაძლებლიდან 9 ქულით პირველი ადგილი რუსმა იან ნეპომნიაშჩიმ დაიკავა (ბაადურ ჯობავამ ჩემპიონატზე ერთადერთი პარტია სწორედ მასთან წააგო). გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ქართველი მოჭადრაკე და რუსი არტიომ ტიმოფეევი. მეორე-მესამე ადგილების გასანაწილებლად ეს ორი დიდოსტატი ტაიბრეიკებში დაუპირისპირდა ერთმანეთს. პირველი თხუთმეტწუთიანი პარტია (ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით) ბაადურმა მოიგო, მეორეში კი მეტოქეები დაზავდნენ, რაც საკმარისი აღმოჩნდა ჯობავასთვის, ვერცხლის მედალი მოეპოვებინა. საგულისხმოა, რომ ევროპის ჩემპიონატებზე ქართველი მოჭადრაკე ვაჟების ეს მეოთხე წარმატებაა (2001 და 2003 წლებში ზურაბ აზმაიფარაშვილმა, შესაბამისად, ბრინჯაოს და ოქროს მედლები დაიმსახურა).



ქალებში, როგორც გაუწყეთ, პირველობა არავის დაუთმო 2003 წლის ევროპის ჩემპიონმა პია კრამლინგმა (შვედეთი). მეორე იყო ლიტველი ვიქტორია ჩმილიტე, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში პოლონელმა მონიკა სოჩკომ ფრანგ მარი სებაგს აჯობა.

2011 წლის ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში, ხოლო ქალებისა თურქეთში გაიმართება.

**კარატე**

## მეხუთე თამაშებიდან - ხუთი მედლით



**მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ისრაელის ქალაქ ელატში გამართულ მე-5 საერთაშორისო თამაშებში, რომლის პროგრამაშიც არაოლიმპიური სპორტის 19 სახეობა შედიოდა.** საქართველოდან მხოლოდ კარატისტებმა იასპარეზეს კახა ბასილიას ხელმძღვანელობით. ჩვენმა ბიჭებმა 3 ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ირაკლი ტყებუჩავა, შოთა გორელაშვილი და აკაკი ქარსელაძე. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო დავით ტყებუჩავამ და მეორე ადგილი დაიკავა, ჰენრი ვეკუა კი ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა.

**ინტერნეტიდან**

### ოკეანეში ნიჩბებიანი ნავით

**მარტოდმარტო, ნიჩბებიანი ნავით ატლანტიკის ოკეანე გადალახა 22 წლის ამერიკელმა ქეთი სპოტცმა.**

**ქალიშვილმა ოგაიოს შტატიდან ღია ოკეანეში ორ თვეზე მეტხანს დაჰყო და 4 533 კილომეტრიც გაცურა. 3 იანვარს მან სტარტი სენეგალის დედაქალაქ დაკარში აიღო, 14 მარტს კი მამაცი მოგზაური სანაპირო დაცვის ხომალდის თანხლებით გაიანას რესპუბლიკის დედაქალაქში ჩავიდა, ის კი სამხრეთ აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს.**



მეზღვაურის თქმით, ასეთ ხანგრძლივ მოგზაურობაში მას ვილაცასთან ლაპარაკი უნდოდა. თანაც ნავი ისე იყო მოწყობილი, რომ ძილისთვის ძალზე პატარა და მოუხერხებელი ადგილი იყო დატოვებული.

ქეთი სპოტცმა ამ მოგზაურობით დაამხო ატლანტიკის გადალახვის ადრინდელი რეკორდი, რომელიც 2005 წელს ბრიტანელმა ოლივერ ჰიქსმა დაამყარა. მაშინ 23 წლის ახალგაზრდამ ოკეანე გადაცურა ამერიკულ შტატ ნიუ-ჯერსიდან დიდ ბრიტანეთამდე.

### პოლუსთან ახლოს



**ანტარქტიდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მწვერვალი მაუნტ პარსი (2520 მ) „დაეცა- ფრანგი ალპინისტების მატიე კორტიალიას, ლიონელ დოდეს და პატრიკ ვანიონის ძალისხმევით, მათი მიზანი იყო პირველი ასვლა ჩრდილო-დასავლეთის ქედით.** ფრანგებს ამ ასვლაში ხელმძღვანელობდა ახალზელანდიელი ლიდია ბრეიდი – პირველი ქალი, ევერესტზე ჟანგბადის გარეშე რომ ავიდა. აღსანიშნავია, რომ მთასვლელები მწვერვალს იახტით მიუახლოვდნენ და გადმოსხდნენ კუნძულ ბრაბანტის დასავლეთ სანაპიროზე, იქიდან დაიწყეს მწვერვალის დალაშქვრა და ავიდნენ 1150 მეტრამდე, სანამ თოვლში არ ჩაეფლნენ. აქ ისინი 39 საათს დაყოვნდნენ. ღამე კარავში გაატარეს. მწვერვალამდე დარჩენილი მანძილი სამეულმა ადვილად დაძლია. თუმცა ბოლო 100 მეტრის გავლას 4 საათი მოუნდნენ.

### როდიკის განძი

**ცნობილ ამერიკელ ჩოგბურთელს ენდი როდიკს ნამდვილად შეუძლია, იამაყოს არა მხოლოდ თავისი სპორტული მიღწევებით, არამედ თავისი ლამაზმანი ცოლითაც, ცნობილი ფოტომოდელით ბრუკლინ დეკერით. ბოლო ხანებში ნამდვილად რომ ანიჭებს ქმარს სიამაყის შესაძლებლობებს.**

შესანიშნავი გარეგნობის ქალბატონმა ახლახან კინომსახიობობა გადაწყვიტა, იფიქრა, რა რომ ამ ასპარეზზეც უფრო დიდ წარმატებებს მოიპოვებს, ვინაიდან ფოტომოდელობის საქმეში ყველაფერი კარგად მიდის.



პოპულარულმა ჟურნალმა Illustrated სპეციალური გამოშვება რომ მიუძღვნა საცურაო კოსტიუმების ახალ კოლექციას, გადაწყვიტა ბრუკლინ დეკერი თავისი ყდის სახედ ექცია. ახლა ჩოგბურთისა და სპორტული ცურვის მოყვარულებს შეუძლიათ თვალნათლივ დარწმუნდნენ, თუ რა განძს ფლობს ენდი როდიკი.

ფრაგმენტები კოლხეთის ისტორიიდან

# 1. ოლთაკე – კოლხეთის „მეფე“

(მეშვიდე გვერდიდან)

ის ფაქტი, რომ ანტიკური ავტორები კოლხეთში მკვეთრ საომარ ბატალიებს არ მიუთითებენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოლთაკე მტერს უბრძოლველად დანებდა. ასე რომ მომხდარიყო, ოლთაკე პომპეუსის ტრიუმფზე უმაღლესი რანგის ტყვეთა შორის არ მოხვდებოდა. აპიანე რიგითი გამგებლის სახელს, ხაზგასმით არ მოიხსენიებდა აზიის დატყვევებულ მეფეთა გვერდით. პომპეუსის ტრიუმფზე მხოლოდ მეფეები იყვნენ საკუთარი სახელით დასახელებული. მათ შორის იყო ოლთაკე.

ოლთაკე რომაელებს წინ აღუდგა, როგორც ქვეყნის ერთპიროვნული წინამძღოლი და ტყვეობაში მოხვდა გვირგვინოსნის სრული რეგალიებით აღჭურვილი. საპატიო ტყვეთა ჩამონათვალში შესული მისი სახელი მეტყველებს იმაზე, რომ რომაელები ოლთაკეს განიხილავდნენ კოლხეთის მეფედ, დამტკიცებულს მითრიდატე ევპატორის მიერ.

ევპატორმა, უკიდურესი დაძაბულობის ჟამს, კოლხეთის მეფედ თავისი „მეგობრებიდან“ ყველაზე ღირსეული დაამტკიცა. ასეთი გადაწყვეტილება ბუნებრივად გამოიყურება, თუ ყურადღებას მივაქცევთ პლუტარქეს შეფასებას: **„ოლთაკე ყოველგვარ საომარ საქმეში გამოირჩეოდა ღონითა და მამაცობით. მნიშვნელოვან ამბავთა განსჯის დროს მახვილ გონებას ამჟღავნებდა“.** მოტანილი მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ ევპატორმა რომაელებთან ბრძოლის უკანასკნელ ბასტიონს გაემოცდილი ხელქვეითი ჩაუყენა სათავეში. ამრიგად, კოლხეთს მეფედ მოევლინა არა ვინმე ოლთაკე, არამედ „მითრიდატულ ომებში“ გამოწრთობილი, სამხედრო ხელოვნებასა და პოლიტიკურ სიტუაციებში განსწავლული პიროვნება, რომლის მხარდაჭერაზეც ევპატორი დიდ იმედებს ამყარებდა.

კოლხეთს, როგორც დაპყრობილ ქვეყანას, მითრიდატეს ნება უნდა შეესრულებინა. პონტოზე მორჩილება ძალას ეყრდნობოდა. ეს ძალა კი აღნიშნულ მომენტში აღარ არსებობდა. საყურადღებოა იმის გათვალისწინება, რომ კოლხები ოლთაკეში დამპყრობელს ხედავდნენ, რაც ხელს შეუწყობდა მისი ძალაუფლების დამხობას.

კოლხეთი რომაელებმა დაიკავეს. ოლთაკე დაატყვევეს და რომის გზას გაუყენეს. აპიანე წერს, ორდღიანი ტრიუმფის შემდეგ, პომპეუსმა ტყვეები, სამეფო ოჯახების წარმომადგენელთა გარდა, სახელმწიფო ხარჯით სამშობლოში დააბრუნა. სიკვდილით დასაჯა მხოლოდ ორი მეფე, იუდეის არისტობულე და სომხეთის ტიგრანი (აპიანე, მითრიდატული ომები, 117). ამ რეალობიდან გამომდინარე, ოლთაკე, როგორც მეფე, ტყვეობაში დარჩებოდა. ოლთაკე კიდეც რომ გაეთავისუფლებინათ, მას მოუწევდა დაბრუნება დანდარიების ტომში, მდ. ყუბანისა და აზოვის ზღვის სანაპიროებზე, რადგან რომაელებს კოლხეთში სულ სხვა ხელისუფალი ჰყავდათ დანიშნული.



საეჭვოდ არ მიგვაჩნია ისიც, რომ ოლთაკეს პოპულარობა კოლხთა შორის უმნიშვნელო იქნებოდა. ამ კუთხით, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა რომაული ორიენტაციის კოლხი დიდებული არისტარქე.

ძვ. წ. I საუკუნის კოლხეთის ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, რომ პონტოს მეფე მის „გამგებლებად“ თუ „მეფეებად“ ერთგულ ქვეშევრდომებს ნიშნავდა. საერთოდ უყურადღებოდ ტოვებდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. ასეთ ქვეშევრდომ „მეგობართა“ შესახებ გარკვევით მიუთითებდა სტრაბონი. ფაქტის საუკეთესო დადასტურებაა მითრიდატეს ევპატორის უკანასკნელი „მეგობარი“ ოლთაკე, რომელსააც კოლხეთთან არაფერი აკავშირებდა.

**ოლთაკეს სახით პომპეუსს წინ აღუდგა მითრიდატეს არმიის ნაშთი. რომაელ სარდალს არ გაძნელებია ბრძოლა ევპატორის უკანასკნელ „მეგობართან“. ოლთაკეს დატყვევებით რომაელებმა დაამთავრეს მითრიდატეს მომხრეთა განადგურება. ოლთაკე იყო უკანასკნელი მეომარი, რომელიც მითრიდატეს სახით იბრძოდა. ამიტომაც მიანიჭა გამარჯვებულმა პომპეუსმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მის პიროვნებას და კოლხეთის „გამგებელი“ ჩარიცხა უმაღლესი რანგის ტყვეთა სიაში.**

**გრანი ქავთარია**

მილოცვა

**მიხეილ, ჯემალ, გიზო, მაგული, ქეთევან კუხალაშვილები, ვალერი ასათიანი ოჯახებით ულოცავენ დაბადების 70 წლის იუბილეს ყოველმხრივ სანიმუშო, ღირსეულ პიროვნებას და მოქალაქეს ამბერკი ტაბიძეს და უსურვებენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიყვარულსა და სიხარულს ძვირფას ოჯახთან ერთად.**



**ადამიანური სიყვარულითა და სიკეთით სავსე ჩემო გაჯუ (ამბერკი) გულწრფელად გილოცავ შენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს თარიღს, დაბადების 70 წლისთავის იუბილეს. გისურვებ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, წარმატებებსა და შენი ოჯახის ბედნიერებას.**

**უფალი ღმერთი იყოს შენი დამცველი და მფარველი ყველა იმ კეთილ საქმეში, რომელსაც შენ აკეთებ.**

*უღრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით*
*შენი 91 წლის სიდედრი*
**სონია კუხალაშვილი-ჩაკვეტაძისა**

თითქმის ნატურიდან

## დედამიწა აჩქარდა?

**ამჯერად ბენიტოს გამორჩეულ მიდრეკილება-თვისებებთაგან მხოლოდ ერთზე შევჩერდები, კერძოდ, ეროვნული ტრადიციების სიყვარულზე. ამის დასტურად სხვა თუ არაფერი, ისიც კმარა, რომ ექიმის რჩევებს არაფრად დაგიდევს და სოლიდური ასაკის მიუხედავად ქეიფს, როგორც თვითონ უყვარს ხოლმე თქმა, დილიდანვე იწყებს.** იწყებს იქვე, საცხოვრებელ ბინასთან მეზობლად მდებარე მტკვრისპირა პარკიდან, სადაც თანამეინახე პენსიონერებთან ერთად, დილის ვარჯიშს, დილისავე საარით – არყის გადახუხვით ამთავრებს. აქედან შეჟიჟღილებული ბენიტო, როგორც წესი, მშობლიური გაზეთის რედაქციას სტუმრობს, სადაც ერთგული მკითხველისთვის მადის აღმძვრელ რეპორტაჟებს აცხობს. აქაც თუ რამე ვარიანტი გამოჩნდა, რა თქმა უნდა, კბილგაუკრავს არ დატოვებს, თუ არადა, მეტი რა ჩარაა, მოსალამოებულზე შინისკენ ჩიჩვირჩამოშვებული მიაბოტებს.

იმ საღამოსაც შინ უგუნებოდ დაბრუნებულ ბენიტოს შვილიშვილმა – კუდრაჭა ეკუნიამ – ცინცხალი ამბავი დაახვედრა:

– ბაბუ, ბაბუ, გაიგე რა მოხდა?

– რაო, შვილო, დედამიწა გადაბრუნდაო?

– არა, ბაბუ, კი არ გადაბრუნდა, ღერძიდან გადაიხარაო.

– გადაიხარაო? – შეიცხადა ბენიტომ, – აბა რა მოუვიდოდა, შემოგევლოს ბაბუა, ეს ჩვენი შლეგი პრეზიდენტი იმდენს დაშლიგინობს წალმა-უკულმა, ეტყობა დედამიწას თავბრუ დაეხვა, წაბარბაცდა და გადაიხარა.

– თავის ბრუალზე არაფერი უთქვამთ, ბაბუ, უბრალოდ გადაიხარა, თანაც აჩქარდაო.

– ჰოო, თუ აჩქარდა, ეს კარგია, – გამხიარულდა ბენიტო, – დღეები სწრაფად გაირბენს და თვეში სამჯერ თუ არა, ორჯერ მაინც ავიღებ პენსიას.

– მარტო დღეები, ბაბუ? – დაინტერესდა პატარა.

– არა, გამოდის, რომ მთავრობებიც უფრო ხშირ-ხშირად შეიცვლება. მადლობა ღმერთს, თორემ ამათ კიდევ 2013 წლამდე რა გაუძლებდა. ერთი ეგ მითხარი, შვილო, დედამიწა მაინც საით გადაიხარაო, მარჯვნივ თუ მარცხნივაო?

– პენსიისთვის მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ბაბუ?

– არაფერი, მაგრამ მაინც მინდოდა დამეზუსტებინა. გუშინღამ რომ გამეღვიძა, მარჯვენა გასიებული ფეხი საწოლიდან მქონდა გადაკიდებული. ხო შეიძლება, ამას დაერღვია დედამიწის წონასწორობა და გადახრილიყო?

– შენი ფეხი არაფერ შუაშია ბაბუ, – დაამშვიდა ბავშვმა, – ვანომ უკვე განაცხადა ტელევიზორში, დედამიწის გადახრა ჩემი ბრალიაო.

– უუ მაგის, – შეიკურთხა ბენიტომ, – იუდა მერაბიშვილმა, როგორც იქნა, აღიარა დანაშაული.

– მერაბიშვილმა კი არა, ბაბუ, – გაუსწორა ეკუნამ, – აი, მასხარა ვანო როა, დიდთავა, იმან თქვა.

– იჰ, იმას რა დაეჯერება, შვილო, იხუმრებდა.

– არა, სერიოზულად ამბობდა, გუშინ თავმა მარცხნივ გადამძალა და დედამიწა იმიტომ გადაიხარაო.

– მაგის ბჟუტურს ვერ დავეყრდნობით, ხვალ სოფელში წავალ, შვილო მიწას დავაკვირდები და რო დავბრუნდები, გეტყვი, მართლა გადაიხარა თუ ეგენი მატრაბაზობენ?

– სოფელში მაგის დასაზუსტებლად წახვალ, ბაბუ?

– ჰო, ამასაც დავაზუსტებ, ვაზებს ძირებს გამოვუთოხნი, ბარემ ქვებსაც შევაგროვებ და სარდაფში საიმედო ადგილზე შევინახავ.

– ქვები რად გინდა, ბაბუ? – გაკვირდა შვილიშვილი.

– დაგვჭირდება, შვილო. აგე იმდღეს პრეზიდენტს რა წამოსძახეს – ქვეყანა ისე დააქციე, ქვა ქვაზე აღარ დაგვიტოვეო. ჰოდა ვიდრე ქვებიც სულ არ მოუხეკავთ, ცოტას მაინც გადავანარჩუნებ.

– მერე რაში გამოიყენებ?

– სხვა თუ არაფერში, ეს მთავრობა რო გაიქცევა, გამოვეკიდები და ვესვრი მაინც.

– მერე თავში რომ მოხვდეთ და გაუტყდეთ, ცოდონი არ არიან? – აფშლუკუნდა პატარა.

– ნუ გეშინია, შვილო, ისე მარჯვედ ვესვრი, რომ თავში არ მოხვდეთ.

– მაგდენი ქვიდან, ბაბუ, ყველას როგორ ააცილებ? – შეეჭვდა ეკუნა.

– არა, სულ ამათ კი არ ვესვრი, ჩემო პატარავ, ნაწილს შევინახავ.

– ვისთვის, ბაბუ?

– ამათ ადგილზე მოსული მთავრობისთვის. რა გარანტია მაქვს, რომ ხვალ და ზეგ ისინიც არ დაიმსახურებენ ქვების სროლას?!

**ოტია ჩართოლანი**

1999-2003 წლების პარლამენტის „ფრაქცია“ აფხაზეთის წევრები გივი ლომინაძე, გია გვაზავა, ვახტანგ ყოლბაია, მალხაზ ბარამიძე, გენო კალანდია, ბესო ლაგვილავა, დიმიტრი ჯაიანი, ოთარ ჭითანავა, ვალერი ჭანტურია, დავით გვაძაბია, ვლადიმერ ქარსელაძე, აკაკი გასვიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქალაქ გაგრის სანატორიუმ „ენერგეტიკის“ ყოფილი დირექტორი, სასიქადულო მამულიშვილი

სერგო მაქსიმეს ძე შელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო სამძიმარს უცხადებენ ნანა გუნიას დედის

მერი (მარიამ) ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

დარეჯან ელიაძე, გიორგი დუნდუა ოჯახით თანაუგრძნობენ ნანა გუნიას დედის

მერი (მარიამ) ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

დიმიტრი, მედეა გორგიშელები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს მეგობარს ნანულის (ნანა) გუნიას უსაყვარლესი დედის, ედუარდის და გიორგის სასიქადულო აღმზრდელი ბებიის, უსათნოესი ქალბატონის

მერი (მარიამ) მიხეილის ასულ ჭანტურიას

გარდაცვალების გამო.

დიღმის მასივის მე-5 კვ. მე-20 კ. მცხოვრებნი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უსათნოესი ადამიანი, ძვირფასი მეზობელი

მერი მიხეილის ასული ჭანტურია

და თანაუგრძნობენ მის შვილს ნანულის (ნანა) გუნიას, შვილიშვილებს ედუარდს, გიორგის და ოჯახის ახლობლებს.

დედა ეთერ მახარაძე, ძმები გივი, ნიკო (კოკა), რეზო ხუტულაშვილები, და დარეჯან რევიშვილი, რძლები ინგა ხაჩიძე, ეკა კვირტია, ნინო გიგინეიშვილი, დარეჯან ასკურავა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აჩიკო ხუტულაშვილი



გამოსვენება 21 III, 15 სთ. წმინდა გიორგის სახელობის კარის ეკლესიიდან (საპატრიარქოს უკანა), ერეკლე II მოედანი.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს დირექტორის მოადგილის გივი ხუტულაშვილის ძმის

არჩილ ხუტულაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოება „კუს ტბის“ წევრები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ დათო მოსიძეს მეუღლის

ნანა გერასიმოვას

გარდაცვალების გამო.

ნათელა და შოთა გამყრელიძეები შვილებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მათი ოჯახის უახლოესი მეგობრის დათო მოსიძის მეუღლის

ნანა გერასიმოვას

გარდაცვალების გამო.

## დაიჯესტი

### პრინცის უცნაური ჰობი



დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეს, უელსის უფლისწულ ჩარლზს, სხვათა შორის, ერთი უცნაური ჰობიც აქვს – მას სხვადასხვა ერის უცნაური თავსაბურავების მოზომვა უყვარს და მნიშვნელობა არა აქვს, არწივის ნაკრტენებისგან დამზადებული ამერიკელი ინდიელის თავის სამშვენისი იქნება ეს თუ პაპუა-ახალი გვინეის მკვიდრის ნიჟარების აცმა.

ამ ფოტოზე ჩარლზს შეტლენდის კუნძულების ძველი ვიკინგის მუზარადი ახურავს.

### ატმოსფერული წნევის მარწუხებში



ცისტერნაში მაზუთი იყო, რომელიც ტრანსპორტირების დროს სიცივისგან შედედდა და მის დასაცლელად საჭირო გახდა საწვავის გაცხელება. ამის გაკეთება ცხელი ორთქლით დაიწყეს, რომელსაც პირდაპირ ცისტერნაში უშვებდნენ. როცა ცისტერნიდან მაზუთი ჩამოასხეს, მას წესიერად გაცივება არ აცალეს და ხუფი ისე დაახურეს. შემდეგ კი... ცისტერნაში დარჩენილმა ორთქლმა კონდენსირება განიცადა, რის შედეგად წარმოიშვა ვაკუუმი და ატმოსფერულმა წნევამ სქელი ლითონისგან შეკრული ცისტერნა ქაღალდის ფურცელივით „დაჭმუჭნა“.

### სქელოების ჩემპიონი

ავსტრალიელი ტომ ვაიზი ირწმუნება, რომ მისი სიამაყის, კატა ჰიმის მსგავსი არა მარტო მის მშობლიურ ქალაქ კერნსში, არამედ მთელ ქვეყანაში და მსოფლიოშიც კი არ მოიძებნება. უნდა ითქვას, რომ მისი ეს აზრი „გინესის რეკორდების წიგნის“ მესვეურებმაც გაითვალისწინეს, რომლებმაც ჰემი მსოფლიოში ყველაზე სქელ კატად აღიარეს. არადა, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, 20,7 კილოგრამის წონის ჰემი ძალიან ცოტას ჭამს.



### „ყორჩაღი“ თუ „ყაჩაღი“?



საუდის არაბეთში მიაგნეს ერთ ხანდაზმულ შეიჰს საად ბენ ღაზიბს, რომელიც, მისივე მტკიცებით, 149 წლისაა. იგი თავს მხნედ გრძნობს და საღ გონებაზეა, ჟურნალისტებს კი განუცხადა, რომ ყოველდღე ფეხით 10 კილომეტრს გადის, ხოლო მისი დღის რაციონი შედგება პურის, წყლისა და თაფლისგან. თუმცა შეიჰმა ასევე დაიჩივლა, რომ ბოლო წლებში ცოტა მეხსიერება ღალატობს, იმიტომ, რომ 149 შვილის, შვილიშვილის, შვილთაშვილისა და მათი შვილების სახელები ერთმანეთში ეშლება. თუმცა უფრო დიდი ხალისით იგი ახალგაზრდობის წლებს იხსენებს, როცა სამხედრო ლაშქრობებში მეფე აბდელ აზიზის მეღროში იყო, ანდა თანატოლებთან ერთად მეზობელ ტომებს თავს ესხმოდა...

### ეს გასაოცარი ფეხბურთი

ეს ორი ფოტოსურათი სპორტული ფოტოსურათების კონკურსზე ჟიურიმ სპეციალური პრიზებით შორეულ 1982 წელს აღნიშნა. პირველზე აღბეჭდილია მსაჯის დიტერ პაულისა და საფეხბურთო კლუბ „კელნის“ მეკარის ჰარალდ შუმაჰერის „დიალოგი“. მეორეზე კი ამ საუბრის გამომწვევი მიზეზის გამო „კელნის“ მწვრთნელთა ზანაკში გამოწვეული ემოციები.





## დღის კალენდარი

### 20 მარტი

ღვთისმშობლის დაუჯდომლის შაბათი.

ხსენება წმიდა მღვდელმოწამე ხერსონესის ეპისკოპოსთა: ბასილისა, ეფრემისა, კაპიტონისა, ევგენისა, ეთერიოსი, ელპიდი და აგათოდორესი (IVს); წმიდა პავლე აღმსარებლისა, პრუსაიდელი ეპისკოპოსისა (IXს); ღირსთა: პავლე (IVს და ემილიანე იტალიელისა.



ამოდის 06.05
ჩადის 18.13



ამოდის 07.51
ჩადის 23.16

### დაიბადნენ:

**ძვ.წ.43 – პუბლიუს ოვიდიუსი ნაზონი,** რომაელი პოეტი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ოქტავიანე ავგუსტუსის ეპოქაში. გარდაიცვალა ახ.წ. 17 წელს.

**1828 – ჰენრიკ იბსენი,** ნორვეგიელი დრამატურგი. გარდაიცვალა 1906 წელს.

**1853 – ვინსენტ ვან გოგი,** ფრანგი მხატვარი. გარდაიცვალა 1890 წელს.

**1890 – ბენიამინო ჯილი,** იტალიელი მომღერალი (ტენორი). გარდაიცვალა 1957 წელს.

**1903 – დიმიტრი ერისთავი,** ქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. გარდაიცვალა 1971 წელს.

**1923 – მედეა ჯაფარიძე,** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1998 წელს.

**1926 – ნანა მჭედლიძე,** კინორეჟისორი.

**1933 – ოთარ ჭილაძე,** მწერალი, გარდაიცვალა 2009 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1413 – ჰენრიხ IV,** ინგლისის მეფე.

**1727 – ისააკ ნიუტონი,** ინგლისელი მეცნიერი.

**1947 – ვიქტორ მორიც გოლდშმიდტი,** ნორვეგიელი გეოქიმიკოსი, გეოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

### მოვლენები:

**321** – რომის იმპერატორის კონსტანტინე დიდის ბრძანებით კვირა საზეიმო დღედ გამოცხადდა.

**1852** – გამოიცა ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს რომანი „ბიძია თომას ქოხი“.

**1956** – ტუნისმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**მსოფლიო ასტროლოგიის დღე.**

**იაპონია** – გაზაფხულის ბუნიაობის (დღეღამსწორების) დღე.

**ტუნისი** – თავისუფლების დღე.

**მედიანიუსი**

**აუდიტი**
34-84-83,
899
49-19-97

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7327 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3887 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6599 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.8354 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3765 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1570 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1722 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1426 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5386 ლარი |



### ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +0 – +9 |
| ქუთაისი. | +12 – +21 |
| ბათუმი. | +14 – +16 |
| ზუგდიდი. | +14 – +18 |
| თელავი. | +1 – +11 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– ბატონო პრეზიდენტო, რატომ აქვთ ჩვენს პენსიონერებს ასეთი პატარა პენსიები?

– იმიტომ, რომ კრიზისია.

– მაშინ რატომაა ჩვენს ქვეყანაში ამდენი მილიონერი?

– იმიტომ, რომ ინფლაციაა.

* * *

ჯანდაცვის სამინისტრო გვაფრთხილებს, რომ მის გაფრთხილებას ყურს არავინ უგდებს.



* * *

– ღმერთმა იცის, რა ხდება! უკვე ოცდამეერთე საუკუნეა, გარშემო კი ისევ მოჩვენებებზე, მოლანდებებზე, უცხოპლანეტელებზე საუბრობენ...

– მართლაც გადაგრევენ ადამიანს! აი, ჩემს მეზობელს დღესაც მიაჩნია, რომ დედამიწა ბრტყელი კი არა, მრგვალია.

* * *

– ოფიციანტო, თუ შეიძლება, კიდევ ოცი ხინკალი.

– ვერ გაძეხით თუ მოგეწონათ?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.